სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ბესარიონ ორაგველიძე

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

ნაშრომი წარდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო პაპაჩაშვილი

თბილისი, 0186, საქართველო
მაისი, 2024

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ბესარიონ ორაგველიძის** მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით

„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში“

და ვაძლევთ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის / სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალურ კომისიაში მის განხილვას ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

-------- ივნისს, 2023 წელს.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი

ნინო პაპაჩაშვილი

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების როლი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია თავისუფალი ინდუსტრიული ზონები (თიზ), როგორც ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესების ერთ-ერთი მექანიზმი; საქართველოში არსებული საინვესტიციო გარემო და ასევე მისი შესაძლებლობები; თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარების შესაძლო პერსპექტივები და პრიორიტეტული მიმართულებები.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არსის გააზრებასა და სამეცნიერო მასალის კვლევის შედეგების გაცნობას, სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომის მიმოხილვა და ანალიზი. მეორე თავში წარმოდგენილია თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ისტორიული საწყისები და ეკონომიკური ზონების საფუძვლები საქართველოში, რომელიც წარმოაჩენს ბათუმის პორტო-ფრანკოს. მესამე თავში მოცემულია თიზ-ების ფუნქციონირების მექანიზმები საზღვარგარეთის ქვეყნებში და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში. ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია ინდუსტრიული ზონების გავლენა ეკონომიკაზე და მისი გამოწვევები, საქართველოს ექსპორტი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ასევე თიზ-ების მნიშვნელობა საქართველოს რეგიონული განვითარებისთვის, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის პერსპექტივები თიზების ფუნქციონირების ჭრილში და პრობლემატიკა კანონმდებლობასთან მიმართებით.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, სადაც ხაზგასმულია, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარება არის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რეალურად ხელთარსებული საშუალება და რომ თიზ-ები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და განვითარების პერსპექტივას იძლევა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მიზანია, გაზარდოს ქვეყნის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალი, რომელიც საბოლოოდ მოსახლეობის კეთილდღეობაზე დადებითად უნდა აისახოს. ასევე, გამოთქმულია ვარაუდი, რომ თიზ-ების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საქართველოში მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას თიზ-ის მმართველობის სამივე ფორმა.

The role of Free Industrial zones in the Development of Georgian Economy

Annotation

The master's thesis discusses free industrial zones (FIZ) as one of the mechanisms for improving economic sustainability; the investment environment in Georgia and its opportunities; possible perspectives and priority directions for the development of free industrial zones.

The first chapter of the work is devoted to understanding the essence of free industrial zones and getting to know the results of the research of scientific material, where the review and analysis of various scientific works are presented. The second chapter presents the historical beginnings of free industrial zones and the foundations of economic zones in Georgia, which presents the Porto-Franco of Batumi. In the third chapter, the mechanisms of operation of FIZs in foreign countries and the legal regulation of free industrial zones in Georgia are presented. The fourth chapter of the paper discusses the impact of industrial zones on the economy and its challenges, Georgia's exports and direct foreign investments, as well as the importance of FIZ for the regional development of Georgia, the prospects of Georgia's geopolitical location in terms of the operation of FIZ and problems with legislation.

At the end of the master's thesis, conclusions and recommendations are given, where it is emphasized that the development of free industrial zones is a real means of improving the socio-economic situation of Georgia and that theses contribute to the economic growth of the country and provide development prospects. The purpose of free industrial zones is to increase the production and export potential of the country, which should ultimately have a positive impact on the well-being of the population. It is also suggested that for the effective functioning of FIZ in Georgia, it is appropriate to use all three forms of free industrial zones governance.

შინაარსი

შესავალი ……...……...1
თავი 1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არსი და მისი გააზრება თეორიულ კვლევებში.....4
1.1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არსი.....4
1.2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების თეორიული კვლევები.....10
თავი 2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ევოლუცია……...……20
2.1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ისტორიული საწყისები და განვითარება მსოფლიოში……...……20
2.2. თიზ-ების ისტორია საქართველოში……...……..22
თავი 3. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფუნქციონირების მექანიზმი……....……24
3.1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საგადასახადო შეღავათები საზღვარგარეთის ქვეყნებში……...……24
3.2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში……...…..27
თავი 4. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების გავლენა ეკონომიკაზე და გამოწვევები……....……30
4.1. თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიების 2021-2023 წლის საბიუჯეტო შენატანები……....……..30
4.2. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ექსპორტი..……31
4.3. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები……..……...…...33
4.4. რეგიონული განვითარება და ინდუსტრიული ჰაბები……...…38
4.5. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და პერსპექტივა თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჭრილში……...…....41
4.6. საქართველოში მოქმედი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საქმიანობაში არსებული პრობლემატიკა (კანონმდებლობასთან მიმართებით)……....……..44
დასკვნა……....…45
გამოყენებული ლიტერატურა……....…49
დანართი 1…….....…52
დანართი 2…….....…56
დანართი 3…….....…58
დანართი 4…….....…59
დანართი 5…….....…60
დანართი 6…….....…61
დანართი 7…….....…63

შესავალი

21-ე საუკუნე განსაკუთრებით 2020-2024 წლები როგორც მსოფლიოსთვის, ასევე ჩვენი ქვეყნისთვის მრავალი ახალი გამოწვევით ხასიათდება, მათ შორისაა გლობალური ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდი, როგორც პოლიტიკური ისე ეკონომიკური თვალსაზრისით ურთულესი წლებია საქართველოსთვის. წარსულში მიღებულმა მცდარმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა გადაწყვეტილებებმა, ასევე, შიდაპოლოტიკურმა დაპირისპირებებმა ძალიან უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელიც დღემდე თან სდევს საქართველოს.

ზემოაღნიშნული მიზეზების გათვალისწინებით, ეკონომიკური პროცესების მართვა შეუძლებელი გახდა. იმის გათვალისწინებით, რომ ღია საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლისათვის საქართველოს არ გააჩნდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, მკვეთრად შემცირდა სამრეწველო პროდუქციის მოცულობა. ეროვნული ვალუტისა და ფულად-საკრედიტო სისტემის უქონლობის გამო ქვეყანა ჰიპერინფლაციურ სპირალში აღმოჩნდა. ეკონომიკის მკვეთრმა დაქვეითებამ შესაბამისი გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო შემუშავდა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების განხორციელებას გულისხმობდა. ეკონომიკური სტაბილიზაციის დამყარება საქართველომ შეძლო მთელ რიგ სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად.[1]

აღსანიშნავია, რომ შეცვლილი საერთაშორისო სიტუაცია პრობლემებთან ერთად ახალ შესაძლებლობებს ქმნის. გლობალური კონკურენციის პირობებში საკუთარი პოტენციალის მაქსიმალური დატვირთვითა და გამოყენებით კიდევ უფრო დაჩქარდება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური წინსვლა, რაც თავისთავად აისახება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ურთულესი საერთაშორისო ვითარებების მიუხედავად, საქართველოს მიერ ბოლო წლებში გატარებული რეფორმების შედეგად სახეზე გვაქვს მნიშვნელოვანი პროგრესი როგორც საგარეო-პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკის მიმართულებით. სტაბილურობითა და ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების ტენდენციებით საქართვე-ლო გამორჩეული ქვეყანაა რეგიონსა და ევროპაში.[2]

---

[1] საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N600 ,,ეკონომიკური რეფორმათა მეორე ეტაპის ძირითად მიმართულებათა შესახებ“, თბ., 1997.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1293776?publication=0

[2] საქართველოს განვითარების სტრატეგია, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული „ხედვა 2030“ https://www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf

ეკონომიკური განვითარების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით თანამედროვე სახელმწიფოები მიმართავენ ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელთა შორისაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს.[3]

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (თიზ) შექმნა და რეგულირება მიმზიდველია როგორც ეკონომიკურად მძლავრი სახელმწიფოების, ასევე, განვითარებადი ქვეყნებისთვისაც, სადაც ეს ზონები წარმატებულად ფუნქციონირებენ. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იძლევა შესაძლებლობას ინვესტორებისთვის, რადგან მისი ფუნქციონირების მექანიზმი ხელსაყრელ სამეწარმეო გარემოს ქმნის კაპიტალდაბანდებისთვის.

ძალიან მნიშვნელოვანია ინდუსტრიული ზონის წვლილი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. მოსალოდნელია და გარკვეული პრაქტიკითაც დასტურდება, რომ იგი ხელს უწყობს უმუშევრობის დონის შემცირებას, აქტიური მოსახლეობისთვის მეტი სამუშაო ადგილების შექმნას, ქმნის კარგ ბიზნესგარემოს, კონკურენტუნარიანობას აუმჯობესებს, ხელსაყრელ პირობებს ქმნის ადგილობრივებისათვის, რათა კიდევ უფრო უკეთესად გამოიყენონ საკუთარი სპეციფიკური ძლიერი მხარეები და, ამავე დროს, იმოქმედონ როგორც ხიდი რეგიონული განვითარებისთვის.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან ერთად ხშირად განიხილებოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ) შექმნის საკითხი საქართველოში. დღეისთვის კი ეს თემა საკმაოდ აქტუალურია ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის. მაგალითად, მკვლევრები მიუთითებდნენ, რომ შიდა საინვესტიციო დეფიციტის პირობებში თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო უცხოური კაპიტალის მოზიდვაში[4].

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნას სხვადასხვა მიზანი აქვს და შეღავათიანი საბიუჯეტო რეჟიმი უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური საქმიანობის აქტივიზაციას ემსახურება.

ყველა განვითარებადი ქვეყნის მთავარი ამოცანა არის, რომ ისინი ისწრაფვიან უფრო და უფრო მეტი განვითარებისთვის. ამისათვის ისინი მიმართვენ ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებებს. განვითარებადი ქვეყნები განიცდიან ინდუსტრიალიზაციის ნაკლებობას. შესაბამისად რაც მათ ერთნაირად ახასიათებთ, არის სწრაფვა ინდუსტრიალიზაციისკენ. ამისათვის ქვეყნები მიმართავენ ისეთ სტრატეგიებს, როგორიცაა იმპორტის შემცირება და ექსპორტის ზრდა საკუთარ ქვეყანაში.

---

[3] ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015.

[4] პაპაჩაშვილი ნ. თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ) მსოფლიო პრაქტიკა და ეფექტი, ჟ. „ეკონომიკა“, #4-6, თბ., 1998.

არსებობს ინდუსტრიული პოლიტიკის რამდენიმე ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შეუძლიათ განვითარებად ქვეყნებს განავითარონ ინდუსტრიული პოლიტიკა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები კი ამ პოლიტიკის ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს, თუკი ქვეყანა სწორად დაგეგმავს და გაანალიზებს, კონკრეტულად რა სჭრიდება, უშუალოდ რისი წარმოებისა და გასაღების საშუალებას მისცემს მსოფლიო სავაჭრო პოლიტიკა. ამ მხრივ კი თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, რომლებიც თავისთავად ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიებით გვხვდება, ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა ინდუსტრიალიზაცისთვის.[5]

საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზიდვაა, კვლევები ცხადყოფს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც თიზები აქტიურად ფუნქციონირებენ, ეს მიზანი მიღწეულია. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში წარმატებულია ქვეყანა, რომელიც ესწრაფვის თავისუფალი ვაჭრობის სისტემაში ინტეგრაციას. სწორედ ამიტომ ქვეყნის განვითარებისთვის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის აქტიურად ამუშავების საკითხი ძალზედ მნიშვნელოვანია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიზნად ისახავს წარმოაჩინოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, როგორც სამრეწველო პოლიტიკის მოქნილი ინსტრუმენტი, რომელმაც თავისი მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **სამაგისტრო კვლევის ფარგლებში მიზნად ვისახავთ** სიღრმისეულად შევისწავლოთ, რა როლი აქვს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში და კონკრეტულად, გავაანალიზოთ მათი როლი საქართველოს შემთხვევაში. სამიზნე კვლევის მიმართულებები მოიცავს თიზ-ების საკანონმდებლო რეგულირებას, თიზ-ების საბიუჯეტო ეფექტებს, მათ როლს საქართველოს ექსპორტში და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში.

კვლევის მეთოდები:

თიზ-ების არსის და ფუნქციონირების შესახებ აკადემიური კვლევის შედეგების გაცნობა და ანალიზი;

საქართველოში ფუნქციონირებადი თიზ-ების რეგულირების შესწავლა;

საქართველოში მოქმედი თიზ-ების საბიუჯეტო შენატანების, ექსპორტის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში წვლილის სტატისტიკური ანალიზი;

უცხოური თიზ-ების გამოცდილების გაცნობა და ანალიზი;

შედარებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდით იმ უპირატესობების გამოკვეთა, რაც ნათლად დაგვანახებს საქართველოს ეკონომიკისთვის ქართული თიზ-ების როლს.

---

[5] Free Industrial Zones: Law and Industrial Development in the New International Division Of Labor, 1989 https://archive.law.upenn.edu/journals/jil/articles/volume11/issue1/Amado11U.Pa.J.Int%27lBus.L.81%281989%29.pdf

თავი 1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არსი და მისი გააზრება თეორიულ კვლევებში

1.1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების არსი

განვითარებადი ქვეყნებისთვის მეზობელ ეკონომიკებთან და მის ფარგლებს გარეთ ინტეგრაცია ძალიან მნიშვნელოვანია, ის უზრუნველყოფს წვდომას ახალ შესაძლებლობებზე. განვითარებად ქვეყნებს სჭირდებათ შესაბამისი სტრატეგიები ინტეგრაციისთვის. მაგრამ საინტერესოა კონკრეტულად რა სტრატეგია სჭირდება განვითარებად ქვეყანას მსოფლიო ბაზარზე ეფექტიანი ინტეგრაციისათვის? მსოფლიო ეკონომიკაში ეფექტიანი ინტეგრაციის ზოგადი ფორმულა არ არსებობს. ის დამოკიდებულია მუდმივად ცვალებად გარემო ფაქტორებზე.

როგორც კაპიტალიზმის სამშობლო, ევროპა არის თავისუფალი ვაჭრობისა და საბაზრო ეკონომიკის საწყისი. ყველა სახის სპეციალური ეკონომიკური ზონა, თავისუფალი სავაჭრო ზონა და თავისუფალი პორტი ადრეულ ეტაპზე წარმოიშვა და კარგად განვითარდა ევროპაში.

ევროპაში ტრადიციულმა სპეციალურმა ეკონომიკურმა ზონებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში. მათ აქვთ მნიშვნელოვანი ისტორიული პოზიცია საგარეო ვაჭრობის, ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ვაჭრობის ხელშეწყობის, ასევე ეკონომიკური ზრდის ფორმირებაში. ისინი წარმოადგენენ ეკონომიკურ ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალებს. ევროპის სპეციალურმა ეკონომიკურმა ზონებმა, განსაკუთრებით ადრეულმა თავისუფალმა პორტებმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კაპიტალიზმის განვითარების ხელშეწყობაში, ძირითადად საგარეო ვაჭრობის გაფართოებით და ძველი კაპიტალისტური ქვეყნების წამყვანი როლის გაძლიერებით მსოფლიო ვაჭრობაში, რაც ხელს უწყობდა ეკონომიკის გაძლიერებას. ვაჭრობის ლიბერალიზაციის, გათანაბრებისა და ხელშეწყობის გზით, ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკურ აღმასვლას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, ფინანსური გლობალიზაციის მაშტაბების ზრდამ და კონკურენტული გარემოს გაფართოებამ წარმოქმნა დღესდღეობით ახალი გამოწვევები. ქვეყნის განვითარებისთვის საჭიროა მეტი ინოვაციების შემოტანა და დანერგვა. ინვესტიციების შემოდინება და მათი ეფექტიანად წარმართვა ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი კრიტერიუმია. ქვემოთ მიმოვიხილავთ თუ რა მნიშვნელობა აქვს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის. სანამ უშუალოდ თიზ-ებს შევეხებოდეთ, განვიხილოთ თავისუფალი ეკონომიკური ზონები (თეზ), რამდენადაც თავისუფალი ინდუსტრიული ზონები მათი სახესხვაობაა.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები, და განსაკუთრებით ოფშორული ზონები XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვანი მოვლენაა, ისინი ხელსაყრელი წარმონაქმნებია მოგების მისაღებად და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ღია ეკონომიკის პრინციპების რეალიზაციაში.

განვითარებული და მძლავრი ეკონომიკის მქონე ქვეყნები, თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს რეგიონული პოლიტიკის განვითარების მიზნით ქმნიან. ამის ნათელი მაგალითია დიდი ბრიტანეთის მიერ შექმნილი ზონები, რომლებიც ქვეყნის ძირითადი ტერიტორიიდან მოშორებითაა (ვირჯინიის კუნძულები) განლაგებული. ამავე მიზნით შეიქმნა თეზ-ები რუსეთის ფედერაციის პერიფერიულ რეგიონებშიც. რაც შეეხება განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, მათთვის თავისუფალი ეკონომიკური ზონები ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პოლიგონებია.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების კლასიფიკაცია მათი ძირითადი პროფილის მიხედვით განისაზღვრება, არსებობს საბაჟო, სავაჭრო, სამრეწველო-საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური და სერვისული ზონები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთ უმარტივეს ფორმას თავისუფალი საბაჟო ზონა წარმოადგენს. მას აქვს თავისუფალი საწყობები, სადაც თავსდება საქონელი, რომელზეც ქვეყნის ძირითადი კანონმდებლობის შეღავათიანი რეჟიმი მოქმედებს. უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი საბაჟო ზონების ფუნქციონირებას XX-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოს კანომდებლობაც ითვალისწინებს.[6]

თეზ-ის ძირითადი მახასიათებელია სხვადასხვა სახის პრეფერენციებისა და სტიმულების გამოყენებაა რაც ინვესტორს ანიჭებს ოთხ მთავარ უპირატესობას როგორიცაა:

❖ ფისკალური (საქმიანობის გარკვეული სახეობის საგადასახადო სტიმულირება);

❖ ფინანსური (პირდაპირი - საბიუჯეტო სახსრებით სუბსიდირება და შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტები, არაპირდაპირი - კომუნალური მომსახურების დაბალი ფასის დაწესება, ნაკვეთის საიჯარო გადასახადის შემცირება და სხვა.);

❖ ადმინისტრაციული (საწარმოს რეგისტრაციისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შესვლა-გასვლის პროცედურების გამარტივება);

❖ საგარეო ეკონომიკური (საგარეო ვაჭრობაში საბაჟო მოსაკრებლების შემცირება/გაუქმება).[7]

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მიზნები მრავალმხრივია და დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიდგომებზე. ამასთან,

---

[6] პაპავა ვ. თავისუფალი ეკონომიკური ზონები და საქართველო, ეკონომიკა, https://gfsis.org.ge/files/my-world/21/3.pdf

[7] The Oxford handbook- Industrial Hubs And Economic Development. 2020

განსხვავებულია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიზნები. მათ შორის მეტად გავრცელებულია: მოწინავე (ეროვნულთან მიმართებით) ტექნოლოგიის მოზიდვა; ეკონომიკის გააქტიურება უცხოური კაპიტალის მოზიდვით; სავალუტო შემოსავლების მიღება და სავალუტო რეზერვების ზრდა; შიდა სამომხმარებლო ბაზრის შევსება; მოსახლეობის დასაქმების დონის და სამუშაო ძალის მდგომარეობის გაუმჯობესება; მსოფლიო გამოცდილების გამოყენება ეკონომიკის მართვის, მეწარმეობის, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის სფეროში; თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნა; „დეპრესიული რაიონების" დაჩქარებული განვითარება.[8]

თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ნაირსახეობაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (სხვა სახეობებია: თავისუფალი სავაჭრო ზონა, თავისუფალი საბაჟო ტერიტორია და სხვ.), რომელსაც განასხვავებენ კიდევ ორ სახეობად, ერთი მათგანი ტერიტორიულ მიდგომას ეყრდნობა და მკაფიოდ განსაზღვრულ ტერიტორიას წარმოადგენს, სადაც ზონის ყველა რეზიდენტზე ზონაში დადგენილი ეკონომიკური საქმიანობის შეღავათიანი რეჟიმი ვრცელდება. მეორე კონცეპტუალური მიდგომა ფუნქციურ ხასიათს ატარებს და წარმოადგენს შეღავათიან რეჟიმს, რომელიც გარკვეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობის მიმართ გამოიყენება იმის მიუხედავად, თუ ეკონომიკური აგენტი, რომელიც ამ სახეობის საქმიანობას ეწევა, ქვეყნის რომელ ნაწილშია. ამგვარი ზონის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითია ე.წ სილიკონის ველი (Silicon valley), აშშ-ში, კალიფორნიის შტატში მდებარე მაღალტექნოლოგიური (მათ შორის კომპიუტერული) კომპანიების დიდი თავმოყრის ადგილი. ეკონომიკური შეღავათები იქ მხოლოდ ამ კომპანიების საქმიანობაზე ვრცელდება.[9]

თავისუფალი ეკონომიკური/ინდუსტრიული ზონა წარმოადგენს შეზღუდულ ტერიტორიას, ქალაქს, საავიაციო ან/და საზღვაო პორტს, სადაც ვრცელდება სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი ეკონომიკური საქმიანობებისთვის. თავისუფალი ინდუსტრიულო ზონა შეიძლება განიმარტოს როგორც მკაფიოდ შემოფარგლული ტერიტორია, სადაც მოქმედებს ეკონომიკურ-ფინანსური საქმიანობის განსაკუთრებული რეჟიმი მეწარმეობის სტიმულირების, მეურნეობის პრიორიტეტულ დარგებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისათვის. გარკვეული მოსაზრებით მსგავსი სახეობის ეკონომიკური ზონების შექმნის მიზეზი ის არის, რომ სახელმწიფოებს არ სურთ მთელი თავისი ეკონომიკური სივრცე უცხოური კაპიტალის მძლავრი ნაკადის ქვეშ მოექცეს. ამიტომ ასეთი ზონის შექმნით, ერთი მხრივ, ქვეყანა თავს იზღვევს, ხოლო მეორე მხრივ, ასაქმებს ხალხს და ავითარებს თავისივე ქვეყნის

---

[8] პაპაჩაშვილი ნ., თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ) მსოფლიო პრაქტიკა და ეფექტი, ჟ. „ეკონომიკა", #4-6, თბ., 1998.

[9] პაპავა ვ., თავისუფალი ეკონომიკური ზონები და საქართველო, ეკონომიკა, https://gfsis.org.ge/files/my-world/21/3.pdf

ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ამგვარი მიდგომით ზონების ჩამოყალიბებისას განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ ეკონომიკის მხოლოდ ლოკალურ გახსნას. ეს ზონები სახელმწიფო ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული შესაბამისად ეროვნული ეკონომიკის ნაწილნი არიან.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების ელემენტია, სადაც ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში თიზ-ებს წარმოაჩენს ეფექტიან ინსტრუმენტად ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობების განსახორციელებლად.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები თავისი არსით განსაკუთრებული ეკონომიკური, სამართლებრივი და საგადასახადო რეჟიმით უზრუნველყოფს: საგარეო პოლიტიკური კავშირების გაღრმავებას, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მოზიდვას, ტექნოლოგიების განვითარებას, ხალხის დასაქმებას და ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოების შექმნას. შესაბამისად სამრეწველო საწარმოები ზონაში მოქმედი სპეციალური რეჟიმის დახმარებით შეძლებენ შექმნან კონკურენტული საექსპორტო საქონელი, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლილებებს გამოიწვევს.

სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თიზ-ის უმნიშვნელოვანესი მიზნებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ეკონომიკური წინსვლის წახალისება; ტექნოლოგიური პროგრესი; ხალხის დასაქმება; რეგიონული პოლიტიკის განვითარება.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები წარმოადგენს ტერტიორიას სამრეწველო მიზნებისათვის, რომელიც მოდელირებულია „პორტო ფრანკოს“ კონცეფციისაგან. ეს იყო არეალი, რომელიც მოიცავდა პორტს და მის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც უცხოური საქონელი შემოდიოდა საბაჟო გადასახდელების გარეშე ან ექვემდებარებოდა მინიმალურ საბაჟო გადასახადს. თანამედროვე თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კონცეფციის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1934 წელს შემოღებულმა კანონმა ,,სავაჭრო ზონების შესახებ“[10] ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის შედეგადაც დაარსდა ნიუ-იორკის საგარეო სავაჭრო ზონა 1937 წელს, როგორც პირველი FTZ (Free Trade Zone - თავისუფალი ვაჭრობის ზონა) მსოფლიოში. აშშ-ის FTZ მნიშვნელობა საკმაოდ მცირე იყო 1950 წლის აქტამდე - ,,ექსპორტზე ორიენტირებული გადამუშავება საგარეო სავაჭრო ზონებში“.

[10] Foreign Trade Zones Act of 1934, Pub. L. No. 73-397, 48 Stat. 998 (codified as amended at 19 U.S.C. §§ 81a-81u (1982)). A Free or Foreign Trade Zone (FTZ) was described by Congressman Emanuel Cellar, principal promoter of the Act, as "an isolated, enclosed and policed area in or adjacent to a port of entry, furnished with the necessary facilities for lading or unlading, for supplying fuel and ship stores for storing goods and for reshipping them by land and water-an area within which goods may be landed, stored, mixed, blended, repacked, manufactured, and reshipped without payment of duties and without the intervention of customs officials." Bader, Jurisdictional Uncertainty: The American Foreign Trade Zone, 8 N.C. J. INT'L L. & COM. REG. 239, 240 (1983) (citing 78 Cong. Rec. 9853 (1934)).

საგარეო სავაჭრო ზონები გამოიყენებოდა კომერციული საქმიანობების, ასევე, ისეთი აქტივობებისთვის როგორიცაა: საქონლის შენახვა, შეფუთვა და ტრანზიტი, მათი შემდგომი გაყიდვის ან გადაზიდვის გასაადვლიებლად საბაჟო სატარიფო კლასიფიკაციის შეცვლის გარეშე. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის კონცეფცია განისაზღვრა, როდესაც წარმოების FTZ-ის მოდელში განვითარდა ინფრასტუქტურა და სამრეწველო ტექნიკა, რათა მოეზიდათ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორები.

ამრიგად, როგორც ჟოზე დანიელ ამადო თავის ნაშრომში წერს[11]: თიზ-ები წარმოადგენდნენ უბაჟო სამრეწველო ფართებს, სადაც 1960-იანი წლებიდან მესამე სამყაროს ქვეყნებმა დაიწყეს თიზ-ის როგორც ინსტრუმენტის განვითარება ინდუსტრიალიზაციისთვის. შესაბამისად იქმნებოდა ახალი სტიმულები უცხოელი ინვესტორებისთვის, სადაც მათ შესთავაზეს საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები და ა.შ. იქმნებოდა ტრანსნაციონალური სამოთხე უცხოური კაპიტალისა და წარმატებული კონკურენციისთვის. ეს იყო საინვესტიციო შესაძლებლობების მსოფლიო არენა. შესაბამისად, თიზ-ები ჩამოყალიბდა ისეთ ტერიტორიად ქვეყნის შიგნით, სადაც ინვესტორებს სთავაზობენ თანამედროვე ტიპის ინფრასტრუქტურასა და გადასახადების შეღავათიან პაკეტს.

ამ დროისთვის საქართველოში ოპერირებს რამდენიმე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები საკმაოდ მიმზიდველი მიმართულებებია ბიზნესის წარმოებისთვის და ამაში მნიშვნელოვანი წვლილი რა თქმა უნდა ლოიალურ საგადასახადო სისტემას აქვს. უცხოური კომპანიებისთვის საქართველოში თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქმიანობის წამოწყება, იმის გათვალისწინებით რომ გეოგრაფიულად, ლოჯისტიკურად, ლიბერალური საგადასახადო სისტემემით ერთი შეხედვით საინტერესო შეთავაზება უნდა იყოს ინვესტორისთვის, მაინც დამატებით კვლევას საჭიროებს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები ძალიან კარგი შეთავაზებაა საქართველოს მხრიდან, ესენია:

1. გეოგრაფიული მდებარეობა
2. ლიბერალური საგადასახადო სისტემა
3. სტაბილური გარემო

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე საქართველოში პოზიციონირებს 4 თავისუფალი უნდუსტრიული ზონა. აქედან 1 მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, თბილისში, ხოლო 3 ინდუსტრიული ზონა გვაქვს წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი განვითარების ეტაპზე არიან, გარკვეულწილად წარმატებით პოზიციონირებენ.

[11] Amado J. D., Free Industrial Zones: Law and Industrial Development in the New International Divison of Labor, University of Pennsylvania Carey law School, 2014.

მიუხედავად ყველა იმ დადებითი ფაქტორებისა, რომელიც გააჩნია საქართველოს თიზ-ების ფუნქციონირებისთვის, მაინც მოსალოდნელზე მეტად დაბალია აქტიურობა, საინტერესოა ის პრობლემები და გამოწვევები, რომლის წინაშეც ქართული თიზ-ები დგანან.

მოქმედი გადასახადების პაკეტი, რომლებიც არის შეთავაზებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისთვის შეღავათების ნაწილში და ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირების კუთხით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა მხოლოდ ლიბერალური საგადასახადო სისტემა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თიზ-ი იყოს წარმატებული.

იმისათვის რომ თიზ-ი იყოს წარმატებული მნიშვნელოვანია სახელმწიფო მზაობა, რათა თიზ-ებმა შეძლონ წარმატებულად ოპერირება ბაზარზე, მნიშვნელოვანია სწორად გატარდეს პოლიტიკურ-ეკონომიკური ცვლილებები, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს თიზ-ის აქტიურ ფუნქციონირებაზე, ამავე დროს თიზ-ის წარმატება დამოკიდებულია მისივე ადმინისტრაციაზე, კანონმდებლობით ინდუსტრიული ზონა არის დამოუკიდებელი სუბიექტი, თიზ-ის მენეჯმენტის პოლიტიკა ინვესტიციების კუთხით განაპირობებს თიზ-ების წარმატებას და ზოგადად ის მაკროეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც არსებობს ქვეყნის მასშტაბით.

თიზ-ების წარმატებისთვის მნიშვნელოვანია კონცეფციის შემუშავება, თვითონ იუნდუსტრიული ზონა რა პროფილის შეიძლება იყოს, რა ეკონომიკური დოვლათის შექმნის სურვილი აქვს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონას, იმიტომ რომ თიზ-ების მახასიათებლები, კლასიფიკაცია არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთსგან.

თიზ-ები შესაძლებელია ფუნქციონირებდეს სხვადასხვა პროფილით: სავაჭრო, სამრეწველო, სერვისული, ტექნოპარკები.

თიზ-ის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწფიოს როლი, მიუხედავად იმისა რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის დამოუკიდებელი სუბიექტი და მას ყავს მმართველი, იმისათვის რომ თიზ განვითარდეს, მაინც მთავარ მოთამაშედ შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფო და მისი წარმოებული პოლიტიკა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელია წარმატებული იყოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. მნიშვნელოვანია ერთმანეთთან კოორდინირებული მუშაობა და იმ პრობლემატიკის შესწავლა და ანალიზი, რასაც უშუალოდ პრაქტიკაში აწყდებიან თიზ-ები. მათი უმეტესობა კი სახელმწიფოსთან ერთად უნდა გადაწყდეს.

არსებობს თავისუფალი ეკონომიკური ზონების ორგანიზაციული მართვის 3 ფორმა, ესენია: სახელმწიფო-ადმინისტრაციული, კორპორაციული, შერეული.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები ქვეყნის საბაჟოს ტერიტორიის გარეთ არსებობს, სადაც საბაჟოსგან განსხვავებული ტარიფები და საგასახადო რეჟიმი

მოქმედებს. თავისუფალი ეკონომიკური ზონები სახელმწიფოს საზღვრებშია განთავსებული და რა თქმა უნდა ეროვნული ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია.

ნეოკლასიკური თეორიის[12] მიმდევრებმა მიმართეს თეზ-ების შესწავლის სპეციალურ საშუალებებს და დაადგინეს, რომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს ქვეყნისთვის რამდენიმე ტიპის სარგებლობა შეუძლია მოიტანონ, მაგალითად: იზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ხელს უწყობს დასაქმების ზრდას, ზრდის საექსპორტო პოტენციალს, ტექნოლოგიებისა და ადგილობრივი მასალების საშუალებით ახდენს შიდა ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებას.

1.2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების თეორიული კვლევები

თანამედროვე სამყარო ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიურად განვითარების ერაში ცხოვრობს. ყოველდღიურად ძლიერდება სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, იქმნება ახალი ეკონომიკური გაერთიანებები, იხვეწება და ვითარდება საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ფორმები, ასევე ვითარდება ინვესტიციების განხროციელების მეთოდოლოგია.

თანამედროვე სახელმწიფოები ეკონომიკური განვითარების მიზნის მიმართავენ ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ღონისძიებებს, მათ შორისაა თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

ეკონომიკის პროფესორი ბატონი გ. ჯოლია თეზ-ებს განმარტავს, როგორც ეროვნული ეკონომის დარგს, ან რომელიმე სეგმენტს, რომელსაც ადგილობრივი კანომდებლობით მინიჭებული აქვს გაფართოებული სამეურნეო დამოუკიდებლობა, მართვის განსაკუთრებული რეჟიმი, ასევე ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეებისთვის ეკონომიკურ საქმიანობაში პრეფერენციული პირობები. ასევე განმარტავს, რომ ზოგადად ცნება ,,თავისუფალი ეკონომიკური ზონა“ განზოგადებულია და ყველა სახეობის სპეციალურ (შეღავათიან) რეჟიმს აერთიანებს. თეზ-ის შინაარსი ახლოსაა ისეთ ცნებებთან, როგორიცაა:[13]

1. ოფშორული ზონა;
2. თავისუფალი სავაჭრო ზონა;
3. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა;

---

[12] ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია - ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. წარმოიშვა XIX საუკუნის 70-იან წლებში. მის სათავეებთან იდგნენ კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ო. ბემბავერკი, უ. ჯევონსი, ლ. ვალრასი, ვ. პარეტო (მათემატიკური სკოლა) ჯ. ბ. კლარკი (ზღვრული მწარმოებლურობის ამერიკული სკოლა). ნეოკლასიკურმა მიმართულებამ დასრულებული სახე ა. მარშალის (კემბრიჯის სკოლა) ნაშრომებში მიიღო. მისი თანამედროვე წარმომადგენლები არიან ჯ. ჰიკსი(დიდი ბრიტანეთი), რ. სოლოუ, მ. ბრაუნი (აშშ) და სხვ.

[13] ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015.

4. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
5. უცხოური სავაჭრო ზონა;
6. და სხვა.

უნდა აღნიშნოს, რომ თეზ-ების და მისი ქვეკატეგორიების ეკონომიკურ ეფექტიანობას განსაზღვრავს რამდენიმე ფაქტორი როგორიცაა:

1. ბაზრების სიახლოვე და გეოპოლიტიკური სიტუაცია;
2. მოქნილი სატრანსპორტო კვანძი და გამართული ლოჯისტიკა;
3. ოპერატორი რომელიც ბრენდებს იზიდავს;
4. თვითონ ბრენდები.

1973 წლის 18 მაისის კიოტოში მიღებულ იქნა ,,საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ" საერთაშორისო კონვენცია. კიოტოს(იაპონია) კონვენციით თავისუფალი ეკონომიკური ზონა განმარტებულია, როგორც ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონელი ქვეყნის ეროვნული საბაჟო ტერიტორიის ნაწილი, სადაც საქონელი ეროვნული საბაჟო ტერიტორიის გარე ობიექტად განიხილება და ამიტომ ჩვეულებრივ ჩვეულებრივ საბაჟო კონტროლსა და დაბეგვრას არ ექვემდებარება.[14]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონვენციაში შესული ცვლილებების (ბრიუსელი, 1999 წ.) შესაბამისად საქართველო შეუერთდა კიოტოს კონვენციას და აიღო ვალდებულება შეასრულოს კეთილსინდისიერად კონვენციის დებულებები.[15] (დანართი 2).

ამერიკელი ეკონომისტი და ჰარვარდის საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი რაიმონდ ვერნონი, რომელიც იყო იმ გუნდის წევრი რომელმაც შეიმუშავა მარშალის გეგმა[16] თავის ერთ-ერთ ნაშრომში განმარტავს, რომ განვითარებად ქვეყნებს რაც ერთნაირად ახასიათებს, არის სწრაფვა ინდუსტრიალიზაციისკენ[17] ამისათვის ისინი იყენებენ ეკონომიკური პოლიტიკის ისეთ სტრატეგიებს როგორიცაა იმპორტის ჩანაცვლება ექსპორტით.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები შექმნილია სამრეწველო მიზნებისთვის, როგორც ხოსე დანიელი[18] განმარტავს ის მოდელირებულია უძველესი კონცეფციისგან პორტო-ფრანკოსგან, რომელიც მოიცავდა ძირითადად პორტს და მის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც შესაძლებელი იყო შესულიყო უცხოური წარმოშობის საქონელი საბაჟო გადასახდელების გარეშე ან ექვემდებარებოდა მინიმალურ საბაჟო გადასახდელს. ის აღნიშნავს, რომ

---

[14] ბარათაშვილი და სხვ. საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბ., 2022.
[15] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია.
[16] Marshal plann - აშშ-ს მთავრობის პროგრამა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის აღმშენებლობისთვის, 1947-1951.
[17] Vernon R. Storm over the Multinationals: The Real Issues (Publications Written Under the Auspices of the Center for International Affairs, Harvard University). February 5, 1977.
[18] Amado J. D. Free Industrial Zones: Law and Industrial Development in the New International Divison of Labor, University of Pennsylvania Carey law School, 2014.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის როლისა და წარმატების მიუხედავად ეკონომიკაში ის არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ განვითარების სტრატეგია. როგორც იგი განმარტავს, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის ინსტრუმენტი ინდუსტრიული პოლიტიკის წარმოების, რომლის წარმატებაც დამოკიდებულია მისი ფრთხილად დაგეგმვის და თანმიმდევრული ეკონომიკური პროცესების სწორად განხორციელებაზე. ქვეყნის მიზნები ზონების შექმნისას იდენტური არ არის. ამიტომაც ავტორი მოუწოდებს ქვეყნებს ფრთხილი პოლიტიკის გატარებისკენ, რათა თიზ-ებმა მიაღწონ იმ შედეგს, რისთვისაც არიან შექმნილნი.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები უნდა აშენდეს სოლიდურ ბიზნეს მოთხოვნაზე და არ იყოს მანიპულირებული პოლიტიკური მოტივებით. თიზ-ის პროგრამების წარმატება მოითხოვს ჯანსაღ სტრატეგიულ დაგეგმვას, ძლიერ ბიზნეს მოთხოვნას და ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს, მათ შორის კარგ და მოქმედ სამართლებრივი და მარეგულირებელ ჩარჩოს.

თეზ-ის პროგრამების წარმატებას ასევე სჭირდება სტრატეგიული მდებარეობა კარგი კავშირებით, კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობით. გარდა ამისა, ზონებმა უნდა დაიცვან მაღალი სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტები მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. თეზ-ები ძალიან რთული ოპერაციებია და არ არსებობს ყველასთვის შესაფერისი მიდგომა, ამიტომ ნებისმიერი წარმატებული გამოცდილება ან გაკვეთილი საჭიროებს ადგილობრივ კონტექსტში ადაპტირებას.[19]

ინდუსტრიული ზონების რეორგანიზაცია (ხელახალი განვითარება) არის არსებული ინდუსტრიული ზონების განსხვავებული ფუნქციური მნიშვნელობის მქონე ტერიტორიებად გადაქცევის პროცესი. მსოფლიოს მრავალი ქალაქისთვის დამახასიათებელია ინდუსტრიული ზონების განთავსება არსებულ საცხოვრებელ ზონებში. მოსახლეობის მატებასთან ერთად, ქალაქები ფართოვდებიან და ვითარდებიან, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ქალაქის გარეუბანში აშენდა, შესაძლოა განვითარების ალტერნატიული გზა მოიპოვოს.

საზოგადოების საჭიროებებისა და პრეფერენციების გათვალისწინება ფუნდამენტურ როლს თამაშობს ინდუსტრიული ზონების წარმატებულ ხელახლა განვითარებაში. ადგილობრივი მოსახლეობის და დაინტერესებული მხარეების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელს უწყობს გარემოს შექმნას, რომელიც აკმაყოფილებს მათ მოლოდინებსა და საჭიროებებს. ეს იწვევს უკეთეს ურთიერთქმედებას საზოგადოებაში და აძლიერებს სოციალურ კავშირებს. ამ გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, რეკომენდებულია, რომ ეს პრინციპები

[19] Zeng D. The Past, Present, and Future of Special Economic Zones and Their Impact. Journal of International Economic Law. 2021 Apr 8:jgab014. doi: 10.1093/jiel/jgab014. PMCID: PMC8083530. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC8083530/

განიხილებოდეს ინდუსტრიული ზონების კომფორტულ ურბანულ გარემოში გარდაქმნის გეგმების შემუშავებისა და განხორციელებისას.

წარმოების ტექნოლოგიური და ინოვაციური შესაძლებლობების განვითარება არის გრძელვადიანი პროცესი, რომელიც მოითხოვს განვითარების ეფექტიან გზას და დახვეწილ ინდუსტრიულ ასევე ინოვაციურ პოლიტიკას. ინდუსტრიული ჰაბების განვითარებით შესაძლებელია როგორც ექსპორტის მოცულობის ზრდა ასევე საერთაშორისო ვაჭრობაში რეიტინგის ამაღლება, ეს ყველაფერი მოყვება იმ შესაძლებლობების განვითარებას რომელიც დამახასიათებელია სწორად განვითარებული ინდუსტრიული ჰაბებისთვის. ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს როლი არა მხოლოდ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ხელშესწყობის თვალსაზრისით ასევე მისი ჩამოყალიბება ხელსაყრელი გარემოს შექმნით. რაც თავის თავში გულისხმობს შესაბამის საკანონმდებლო ბაზასა და განვითარებულ ინფრასტუქტურას.[20] სამრეწველო ჰაბები უნდა იყოს ორიენტირებული საწარმოო შესაძლებლობების განვითარებაზე და ქვეყნის ფარული შედარებითი უპირატესობების კონკურენტულ უპირატესობად გადაქცევაზე.

ტერმინი ,,სპეციალური ეკონომიკურ ზონები“ (Special Economic Zones - SEZ) პირველად გამოყენებული იქნა ჩინეთში 1980 წელს, ეს ზონები გამიზნული იყო ინვესტიციებისა და წარმოების ექსპორტის განვითარებისათვის. ეს სეზ-ები როგორც სახელმძღვანელო განმარტავს განსხვავებულად არის განსაზღვრული სხვადასხვა ქვეყანაში ამიტომ ტერმინის ზოგადი გამოყენება შეუძლებელია. ტერმინები ინდუსტრიული ზონები, ეკონომიკური ზონები, ინდუსტრიული პარკები და სხვა გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნებში წარმოების, შესაძლებლობებისა და ექსპორტის განვითარების მიზნით. 2018 წელს მსოფლიოში არსებობდა თითქმის 6000 ინდუსტრიული ცენტრი, ცნობილია რომ ინდუსტრიულმა ჰაბებმა შექმნეს ძალიან დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილი წარმოების სფეროში. ინდუსტრიული კერების შესახებ ლიტერატურამ ბევრი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო, ისინი განიხილავენ სხვადასხვა ტიპის საექსპორტო-გადამამუშავებელ ზონებს. ინდუსტრიულ ზონებს, სპეციალურ ეკონომიკურ ზონებს და სხვა. მაგრამ ფაქტია რომ ბაზარი არასრულყოფილია, რაც ნიშნავს, რომ როგორც სახელმწიფოს, ასევე, კერძო სექტორს აქვს თავისი როლი მისი სრულყოფისთვის.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ლიტერატურის განხილვისას, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი გამოცდილებაა საერთაშორისო პრაქტიკის გადახედვა და ანალიზი. თიზ-ებზე მუშაობის პერიოდში ჩემი ყურადღება მიიპყრო უნგრეთის მთავრობის ინიციატივას - გადაეხედა თავისი ქვეყნის თავისუფალი ეკონომიკური ზონებისთვის, რათა აღმოეფხვა არსებული პრობლემები და შეეთავაზებინა ახალი

[20] The Oxford Handbook Of Industrial Hubs And Economic Development, Oxford, 2020.

მასტიმულირებელი პრეფერენციები შესაძლებლობების ფარგლებში[21]. 2020 წელს უნგრეთის მთავრობამ და ESPON-მა მიმართეს საკონსულტაციო კომპანია copenhagen economics[22]-ს რომელიც არის ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური ფირმა ევროპაში. მათი კვლევის საგანი გახდა შეესწავლათ:

1. ლატვიის სპეციალური ეკონომიკური ზონა (დანართი 3);
2. ლიეტუვის თავისუფალი ეკონომიკური ზონა (დანართი 4);
3. პოლონეთის სპეციალურო ეკონომიკური ზონა (დანართი 5);
4. SEZ-ის ფუნქციონირება სხვა ქვეყნებში (დანართი 6).

SEZ-ების კვლევიდან გამოიკვეთა ფაქტორები, რომელიც დადებითად აისახებოდა საკვლევი ქვეყნების სპეციალური ეკონომიკური ზონებისთვის. ასეთ ფაქტორი აღმოჩნდა ზღვაზე გასასვლელი, რაც ინვესტორთათვის საკმაოდ მიმზიდველი ფაქტორია. ამას გარდა უნგრეთი არ მდებარეობს დიდი ეკონომიკების გვერდით. კვლევისას გამოვლინდა, რომ განსაკუთრებით ლიეტუვამ და პოლონეთმა მიაღწიეს წარმატებას სპეციალური ეკონომიკური ზონებით, თუმცა ზუსტად ვერ იქნება შეთავაზებული მსგავსი მოდელით ფუნქციონრება და რეკომენდაციის გაწევა, კონკრეტულად რომელმა ფისკალური წახალისება ან მმართველობის ფორმამ გამოიწვია ეს შედეგი. ასევე განხილულ იქნა სხვა მაკროეკონომიკური პარამეტრები, რომელთა საშუალებითან გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. ვფიქრობ საქართველოში მსგავსი ტიპის პროექტის განხორციელება მეტად მნიშვნელოვანი იქნება, რათა საქართველოში არსებულმა თავისუფალმდა ინდუსტრიულმა ზონებმა გაითვალისწინონ, გაანალიზონ და აღმოფხვრან არსებული პრობლემატიკა.

ასევე ძალიან საინტერესოა მსოფლიო ბანკის[23] მიერ შემოთავაზებული ნაშრომი, რომელიც ეხება სპეციალირ ეკონომიკურ ზონებს, სადაც განხილულია ზოგადად ეკონომიკური ზონების ზემოქმედება. ნაშრომში გამთქმულია ვარაუდი, რომ სპეციალური ეკონომიკური ზონებს აქვთ შესაძლებლობა მოიზიდონ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში და მათზე დაფუძნებულ ორგანიზაციები უკეთსად ანხორციელებენ დასახულ მიზნებს, გამოირჩევიან ბევრად მეტი ეფექტიანობით ვიდრე სხვა დანარჩენი. თუმცა რაც შეეხება დასაქმების ზრდას ამ შემთხვევაში ზოგადად ეკონომიკური ზონების ჭრილში არაზუსტია. ეკონომიკურ ზონების წარმატება, არ არის დამოკიდებული მხოლოდ საგადასახადო შეღავათებზე და საკუთრების ფორმებზე, თუმცა კი მას აქვს თავისი როლი ეფექტიანობის ასამაღლებლად, მნიშვნელოვანია ქვეყნის და რეგიონის

[21] European Special Economic Zones. Research spin-off project of "The World in Europe: Global FDI flows towards Europe (ESPON FDI)". Policy Brief, ESPON 2020 Cooperation Programme, November, 2020.

[22] Copenhagen economics - საკონსულტაციო კომპანია, ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური ფირმა ევროპაში.

[23] საფინანსო ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთი მიზანი განვითარებადი ქვეყნების ფინანსური და ტექნიკური დახმარებაა.

სპეციფიკის შესწავლა. ანალიზის შედეგები მიუთითებს, რომ ბაზრის სიახლოვე და ეკონომიკის მიდრეკილება ან მისი შესაძლებლობების დონე მნიშვნელოვანი ფაქტორია სპეციალური ეკონომიკური ზონების ეფექტიანობის. გამოთქმული ვარაუდით ქვეყნებში, სადაც დომინანტია სოფლის მეურნეობა, პროფილის შეცვლა და არასასოფლო-სამეურნეო ინდუსტრიალიზაციაზე გადასვლა გაუჭრდებათ მხოლოდ ეკონომიკური ზონების პოლიტიკის გატარებით. გასათვალისწინებელია რომ ზონის პროგრამებს აქვთ წარმატების დიდი პოტენციალი და ეფექტი, მაგრამ ისინი შეზღუდულნი არიან დროში. ზონის პოლიტიკის შემუშავებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს პოზიტიური ეფექტების დროებითი დადებითი დინამიკა.[24]

ჩინეთი დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკაა და მისი როლი დღითიდღე იზრდება პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქვეყნის ფუნდამენტური გარდაქმნა ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო. 1978 წელს დენ სიაოპინმა სოფლის მეურნეობის რეფორმა გაატარა და დეკოლექტივიზაცია დაიწყო, რაც პროდუქციის თავისუფალ ბაზარზე გატანას გულისხმობდა. 1980 წელს ჩინეთი მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი გახდა და ამავე წელს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში შექმნა ოთხი თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომელმაც დიდი რაოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მოიზიდა. გახსნილი ეკონომიკისა და იაფი მუშახელის გამო უცხოურმა კომპანიებმა ინვესტიციის განსახორციელებლად სწორედ ჩინეთი შეარჩიეს, რასაც საწარმოებისა და ქარხნების დიდი რაოდენობით მშენებლობა მოჰყვა.

ჩინეთში ეკონომიკურ ზონებს ეწოდებოდათ „სპეციალური“, რადგან მთელს ქვეყანაში ვაჭრობა იყო სრულად ცენტრალიზებული და მას აკონტროლებდა მთავრობა. ახალი ზონების თავისებურებას კი წარმოადგენდა ის, რომ ინვესტორებს შეეძლოთ მცირე სამთავრობო კონტროლის და თავისუფალი ბაზრის პირობებში განევითარებინათ საკუთარი ბიზნეს წარმოება, რაც მათთვის მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

სპეციალურმა ეკონომიკურმა ზონებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ჩინეთის ეკონომიკის განვითარებასა და ფორმირებაში ისეთად, როგორიც ის დღესაა წარმოდგენილი. წარმატებული უცხოური ინვესტიციები გახდა ურბანული განვითარების, საოფისე შენობა-ნაგებობების აშენების, ბანკებისა და სხვა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტების წამოწყების საწინდარი. პირველი ოთხი სპეციალური ეკონომიკური ზონა, რომელიც 1979 წელს შეიქმნა, გახლდათ შენჭენი, შანთოუ, ჭუხაი და სიამენი. დღეს მთელს მსოფლიოში ყველაზე პოპულარული შენჭენია, რომელიც 300 კვადრატული კილომეტრის ფართობზეა გაშენებული. შენჭენი, რომელიც სამხრეთ ჩინეთში, ჰონგ-კონგიდან რამდენიმე საათის სავალზე მდებარეობს, დღეს ჩინეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქია. ოთხი თავისუფალი

[24] World Bank Group Special Economic Zones. An Operational Review of their Impacts. WB, 2017.

ეკონომიკური ზონის წარმატებამ ჩინეთის მთავრობას მისცა სტიმული, რომ კიდევ 14 ქალაქისთვის მიენიჭებინათ მსგავსი სტატუსი. ეს ქალაქებია: პეიხაი, ტალიენი, ფუჭოუ, გუანგჭოუ, ლიენიუნგანგი, ნანთონგი, ნინგპო, ცინხუანგტაო, ცინგტაო, შანხაი, თიენძინი, ვენჭოუ, იანთაი და ჭანძიანგი. სპეციალური ეკონომიკური ზონები ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 22%-ს ქმნის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45%, ხოლო ექსპორტის 60%. მათ ჯამში დაახლოებით 30 მილიონზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შექმნეს და საგრძნობლად შეუწყვეს ხელი რეგიონების ურბანიზაციასა და მოდერნიზაციას. ჩინეთი იდუსტრიალიზაციის ამ ეტაპზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების დახმარებით კვლავ მოწინავეა და აპირებს მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების განვითარებასა და გაფართოებას.[25]

ნეოკლასიკური მიდგომით SEZ-ები არის სფერო, რომელიც უზრუნველყოფს უფრო ღია და ლიბერალურ სავაჭრო რეგულაციებს ბიზნეს ოპერაციების ხელშეწყობის მიზნით და თავისუფალი ვაჭრობა არის საუკეთესო ვარიანტი მთავრობისთვის ეკონომიკის სტიმულირებისთვის. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ ეკონომიკური ზონები იწვევს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას შიდა და გარე კომპანიებს შორის, ამცირებს მთავრობის მოგებას სახელმწიფო გადასახადების კუთხით, იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკის დანარჩენი ნაწილი არ არის ლიბერალიზებული.

სპეციალური ეკონომიკური ზონები ავითარებენ წარმოების სფეროებს, რომლებიც მცირე წვლილს იძლევიან ეკონომიკაში. ნეოკლასიკური მიდგომა ვარაუდობს, რომ SEZ-ები მომგებიანია, როდესაც მთავრობა იყენებს მათ, როგორც დამატებით მასტიმულირებელ ინსტრუმენტებს უფრო რთული ეკონომიკური რეფორმებისთვის. ზონების როლი არის დროებითი დახმარება ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკიდან თავისუფალი ვაჭრობის კონცეფციაზე სახელმწიფოს მცირე მონაწილეობით. ისინი არ არის რეჟიმის ლიბერალიზაციის მეთოდი, არამედ არის ლიბერალიზებული ეკონომიკის შედეგები.

პოლიტიკური ეკონომიკის მიდგომისა და პერსპექტივების თეორიები ამტკიცებს, რომ საუკეთესო მიდგომა ყველა ერისათვის ეკონომიკის ლიბერალიზაციაა. თავისუფალ ვაჭრობას, მთავრობის მცირე მონაწილეობასთან ერთად, შეუძლია განვითარება. მაგრამ არსებობს ვარაუდი, რომ SEZ-ების განხორციელება გულისხმობს რამდენიმე ინვესტორისთვის ქირის გამომუშავებას მიწის შესყიდვების შემსუბუქებით და ფისკალური წახალისებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საერთო ეკონომიკური კეთილდღეობის შემცირება.

წარმატების საწინდარია შემდეგი ძირითადი ელემენტები: კონკურენცია, თანამშრომლობა, ფირმის სტრუქტურა და სტრატეგია, მოთხოვნის პირობები,

[25] Annual report on the development of chinas, special economic zone (2019).

ცოდნის გაცვლა და ინოვაციები, წარმოების დივერსიფიკაცია და დამატებითი ინდუსტრიების გაჩენა. SEZ-ებმა ეფექტიანად უნდა განახორციელონ ეს ფაქტორები ზრდის მისაღწევად. გარდა ამისა, ისინი აუმჯობესებენ პროდუქტიულობას და ასტიმულირებენ ინოვაციას ტექნოლოგიების, ინფორმაციის, სპეციალიზებული შრომის, კონკურენტი კომპანიების, დამატებითი ფირმების, კვლევითი ცენტრებისა და უნივერსიტეტების და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების ურთიერთდანერგვის გზით. ამ ფაქტორების უფრო აქტიური და განვითარებული ურთიერთქმედება ხელს უწყობს პროდუქტიულობის ზრდას, ასევე ფირმების სიახლოვე ხელს უწყობს ამ ურთიერთქმედების ინტენსივობას.

ზოგიერთი გაძლიერებული SEZ ეფუძნება კონცეფციას, რომელიც გულისხმობს სოციალურ და კულტურულ კავშირებს ფირმებსა და ადამიანებს შორის, რაც, შესაბამისად, ქმნის ნდობას. ზოგადად, SEZ პოლიტიკა საშუალებას აძლევს მასპინძელ ქვეყანას შეაღწიოს გლობალურ ღირებულებათა ჯაჭვში ოფშორინგისა და ოფშორული აუთსორსინგის მეშვეობით. აქედან გამომდინარე, ისინი ასტიმულირებენ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ინვესტიციებს.

მთავრობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს SEZ-ების და IP-ების განვითარებაში, მაგრამ საკმაოდ რთულია საზღვრის იდენტიფიცირება, როცა სახელმწიფო მხარდაჭერაა საჭირო და როცა ბიზნესი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დაეყრდნოს. კვლევებმა დაადასტურა, რომ ეკონომიკური ზონების განვითარებისადმი მთავრობის მიდგომა გულისხმობს სახელმწიფოს მაღალ ჩარევას ბიზნეს პროცესებში, რაც ხელს უშლის ჯანსაღ კონკურენციას და ეკონომიკურ ზონებში თანამშრომლობას. კლასტერული კონცეფციის მიხედვით, კოოპერატიული და კონკურენტული გარემოს არარსებობა არ იწვევს საინოვაციო საქმიანობას, ცოდნის გავრცელების შექმნას, ტექნოლოგიების გაცვლის პროცესებს და წარმოების ზრდას. დასკვნამ აჩვენა, რომ ზოგიერთი ეკონომიკური ზონის განხორციელებიდან დაახლოებით ათი წლის შემდეგ, ინოვაციური აქტივობა ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია.[26]

მცირე ინდუსტრიული ზონების წარმოებაში ინოვაციების დანერგვა, ამის საფუძველზე ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, ხელს უწყობს მაღალი ხარისხის, კონკურენტუნარიანი საქონლის ფორმირებას. ინდუსტრიული ზონების შექმნა, როგორც ერთიანი მექანიზმი, გამოიწვევს მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის, მეწარმეობის განვითარების პრობლემების მოგვარებას.

უცხოური გამოცდილებით, ინდუსტრიული ზონების შექმნა და მათი განვითარება მეწარმეობის განვითარების პრობლემების გადაჭრის ერთადერთი მექანიზმია. ინოვაციების დანერგვა ინდუსტრიული ზონების საწარმოო

[26] Sosnovskikh, S. Role of the Government in the Development of Special Economic Zones and Industrial Parks in Russia (2017). The 11th International Days of Statistics and Economics, Prague, Czech Republic, 2017, Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=3070410

პროცესებში, დღესდღეობით მოთხოვნადი ახალი აღჭურვილობისა და ტექნოლოგიების ბაზის შექმნისას, იძლევა უამრავ უპირატესობას ხარისხიანი, კონკურენტუნარიანი, ექსპორტზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების

მცირე ინდუსტრიული ზონების შესახებ კანონი ადგენს, რომ „მცირე ინდუსტრიული ზონა არის საწარმოო ზონა, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მომსახურების გაწევისთვის, საწარმოო ტერიტორია არის მცირე ინდუსტრიული ზონის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოო შენობა-ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის საკუთრებას, სადაც მცირე ინდუსტრიული ზონის მონაწილეებს აქვთ გრძელვადიანი იჯარის უფლება.

მცირე ინდუსტრიული ზონები იქმნება და იმართება კანონის შესაბამისად. დღეისათვის უზბეკეთის რესპუბლიკაში შეიქმნა 348 მცირე ინდუსტრიული ზონა. მათ ბაზაზე 36 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ეს არის იმ სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც კეთდება ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებისა და მხარდაჭერისთვის. თუმცა, მცირე ინდუსტრიული ზონების შექმნასა და განვითარებაზე ზემოაღნიშნული სამუშაოების გარდა, მცირე ინდუსტრიულ ზონებში ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებს პრობლემები არ აქვთ ინფრასტრუქტურულ ობიექტებთან დაკავშირებით თავიანთი მომსახურების მიწოდებისას.[27]

2023 წელს FDI inteligence[28]-მა გამოვალინა მსოფლიოს საუკეთესო საწარმოო ზონები, ესენია :

- აფრიკის გამარჯვებული: ლაგოსის თავისუფალი ზონა, ნიგერია

იღებს საკონტეინერო გემებს მთელი მსოფლიოდან, ქმნის ახალ შესაძლებლობებს მწარმოებლებისთვის, რომლებიც ცდილობენ თავიანთი საქონლის ექსპორტს.

- ამერიკის გამარჯვებული: კოიოლის თავისუფალი ზონა, კოსტა რიკა: Coyol Free Zone არის ტერიტორია, სადაც ვრცელდება თავისუფალი ზონის შეღავათები, მათ შორის სპეციალური თავისუფალი ზონის წახალისება სამედიცინო მოწყობილობების კომპანიებისთვის.

- აზიის წყნარი ოკეანის გამარჯვებული: ვაიგაოკიაოს თავისუფალი სავაჭრო ზონა, ჩინეთი:

შანხაიში Waigaoqiao-ს თავისუფალი სავაჭრო ზონა იზიდავსდ მოიჯარეებს სხვადასხვა სექტორში. ახლა ის მიზნად ისახავს საკვანძო ინდუსტრიებს, მათ შორის ბიომედიცინას, ნახევარგამტარებს, ინტელექტუალურ წარმოებას და ავტომობილებს. მისი უდიდესი პროგრესი აქამდე იყო სამედიცინო

---

[27] Baltasheva Z. A- Problems in the Development of small industrial zones and ways to solve them. 2022 https://www.researchgate.net/publication/367177766_CENTRAL_ASIAN_JOURNAL_OF_THEORETICAL_AND_APPLIED_SCIENCES_Problems_in_the_Development_of_Small_Industrial_Zones_and_Ways_to_Solve_Them

[28] FDi Intelligence გვთავაზობს ყოვლისმომცველ მომსახურებას პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით.

მოწყობილობების სექტორში, სადაც თავისუფალი ზონა ხელს უწყობს ღირებულების სრულ ჯაჭვს R&D-დან წარმოებამდე და ვაჭრობამდე. სამედიცინო მოწყობილობების ბიზნესს სთავაზობენ სექტორის სპეციფიკურ შეღავათებს, როგორიცაა გათავისუფლება იმპორტის ტარიფებისაგან, გადასახადებისგან შეღავათები და საპილოტე პროგრამები ადგილობრივი შესაძლებლობების გასაფართოებლად.

• ევროპის გამარჯვებული: კრაკოვის ტექნოლოგიური პარკი, პოლონეთი:

კრაკოვის ტექნოლოგიური პარკი (KTP) არის ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე სამეცნიერო და ტექნოლოგიური პარკი პოლონეთში. პარკი გთავაზობთ სტარტაპ ტექნოლოგიების ინკუბატორს, პარკი სპეციალიზირებულია ვიდეო თამაშების სექტორში.

• ახლო აღმოსავლეთის გამარჯვებული: Jebel Ali Free Zone, UAE:

Jafza მოიცავს ნავთობქიმიკატებს, ნავთობისა და გაზის წარმოებას, მშენებლობას, ფარმაცევტულ პროდუქტებს და საკვებს და სასმელებს.

2023 წლის გლობალური თავისუფალი ზონების ჯილდოები - საუკეთესო ზონები მთლიანობაში საუკეთესო საერთო კატეგორია:

საერთაშორისო გამარჯვებულები :

• გამარჯვებული: Dubai Multi Commodities Centre, UAE;

• რეგიონული გამარჯვებული აფრიკაში: Mauritius Freeport, Mauritius;

• რეგიონული გამარჯვებული აზია-წყნარი ოკეანე: China (Guangxi) Pilot Free Trade Zone, China;

• რეგიონული გამარჯვებული ევროპაში: Katowice Special Economic Zone;

• რეგიონული გამარჯვებული ამერიკაში: Coyol Free Zone, Costa Rica.

2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ევოლუცია

2.1. თავისუფალი ეკონომიკური ზონების ისტორიული საწყისები და განვითარება მსოფლიოში

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ჩამოყალიბებას მსოფლიოს სხვადასვა ქვეყანაში წინ უსწრებდა თავისუფალი ეკონომიკური ზონების ისეთი ფორმები, როგორიცაა თავისუფალი საბაჟო პორტები და თავისუფალი სავაჭრო ზონები. თავისუფალი ვაჭრობის განვითარება ერთ-ერთი საინტერესო პროცესია კაცობრიობის ისტორიაში. ადამიანები საუკუნეების განმავლობაში პროგრესირდებოდნენ და სცდებოდნენ შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებს, რაც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა სავაჭრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. უძველესი დროიდან დღემდე ადამიანები ყოველთვის ვაჭრობდნენ ერთმანეთში, თავდაპირველად ეს იყო აღებ-მიცემობა - ეგრეთ წოდებული ბარტერი. ისინი ცვლიდნენ განსაზღვრული რაოდენობის საქონელს შესაბამისი ღირებულების საქონელზე, ანუ ადამიანები ერთმანეთში ნატურით ვაჭრობდნენ. შემდეგი ეტაპი კი ფულის შექმნა გახლდათ ვაჭრობის განვითარებაში, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მსოფლიო ისტორიაში.

ძველი წელთაღრიცხვით VII-საუკუნეში ლიდიის მეფე ალიატემ პირველი ოფიციალური ფული მოჭრა და შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარდამტეხი როლი ითამაშა ფულის წამოშობამ როგორც ვაჭრობის, ასევე, სხვა დარგების განვითარებაზე. ფულის მოჭრა ლიდიას დაეხმარა შიდა და გარე სავაჭრო სისტემების ჩამოყალიბებაში და ერთ-ერთ უმდიდრეს სამეფოდ იქცა მცირე აზიის ტერიტორიაზე.

დროის სვლასთან ერთად ადამიანები ვაჭრობის გარდა, რა თქმა უნდა, ბევრ საქმიანობას აწარმოებდნენ, როგორიცაა მიწათმოქმედება და ომები. შესაბამისად ადამიანთა ცხოვრების წესმა უბიძგა შეექმნათ ისეთი ადგილები, რომლებიც გარკვეულწილად დაცული და ხელშეუხებელი იქნებოდა, ე. წ. სპეციალური სავაჭრო/საწარმოო ზონები, სადაც იქნებოდა ვაჭრობისთვის როგორც უსაფრთხო გარემო, ასევე, სპეციალური სავაჭრო პირობები.

ჯერ კიდევ ფინიკიელების აყვავების პერიოდისთვის, ძვ.წ. აღ.-ის II-ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში ვაჭრობის შეღავათიანი პირობები იყო დამკვიდრებული საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში. თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსებობა უძველესი დროიდან ცნობილია ასევე ელადის კულუტურაში კუნძულ დელოსზე, რომის იმპერიის ზეობის ჟამს. ისინი ძირითადად შეღავათიან ვაჭრობაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ამგვარად, ვაჭრობის განვითარებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, რომელიც ჯერ კიდევ ქვის ხანაში დაიწყო და დღემდე ვითარდება, რადგან ეს პროცესი კაცობრიობის

განუყოფელი ნაწილია. მასთან ერთად ვითრდებოდა თავისუფალი სავაჭრო ზონებიც.

პორტო-ფრანკოს ტიპის ზონები დასაბამს XVI-საუკუნიდან იწყებს. პირველად ეს სტატუსი იტალიის ქალაქ ლივორნოს ერგო, ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით კი გენუას. რაც შეეხება საქართველოს, პორტო-ფრანკოს სტატუსი ერგო ბათუმს 1878 წელს. თავისუფალი ეკონომიკური ზონები ინტენსიურად განვითარდა XIX საუკუნიდან გერმანიის ქალაქებში ბრემენსა და ჰამბურგში, სადაც დღესაც წარმატებით ახორციელბენ ამგვარ ფუნქციონირებას.

XX ს.-ის 30-იან წლებში ამერიკის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის ინიციატივით კონგრესმა მიიღო სპეციალური კანონი ,,თავისუფალი სავაჭრო ზონების შესახებ“. ასევე, ამავე საუკუნის 60-იან წლებში თეზ-ების შექმნა მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. განვითარებულ ქვეყნებში მათი დაარსების მიზანი საკუთარ საზღვრებში შეღავათიანი საგადასახადო და სავაჭრო-ეკონომიკური რეჟიმების დაწესება იყო. XX ს.-ის 90-იან წლებში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა უფრო გააქტიურდა და დღეის მდგომარეობით მსოფლიო საქონელბრუნვის დაახლოებით 30% მსგავსი ტიპის საშეღავათო ზონებზე მოდის.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში მომხდარმა ცვლილებებმა ზეგავლენა მოახდინა თავისუფალი ეკონომიკური ზონების განვითარებაზე. ერთი მხრივ, დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარეობდა ომისგან დაზარალებული ქვეყნების აღდგენა; მეორე მხრივ, ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნები ცდილობდნენ ეკონომიკის განვითარებას, ინდუსტრიალიზაციის განხორციელებას, ტექნიკისა და სახსრების უკმარისობის და ჭარბი სამუშაო ძალის პირობებში. ამგვარი ურთიერთგადამკვეთი ინტერესების ვიტრებაში მრავალ ქვეყანასა და რეგიონში შეიქმნა ახალი თავისუფალი ზონები, ე. წ. საექსპორტო საქონლის გადამმუშავებელი ზონები, რომელთაც განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრებოდათ ექსპორტე ორიენტაციის სტრატეგიაში. მსოფლიოში პირველ თავისუფალ ზონად, სადაც საექსპორტო წარმოება დაიწყო, ითვლება შენონის ზონა, რომელიც 1958 წელს შექიმნა ირლანდიაში. შემდგომ ისინი სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა. საექსპორტო საქონლის გადამმუშავებელი ზონა 1966 წელს შეიქმნა ტაივანში (გაოსუნი). ამ ზონების გამოჩენამ ზეგავლენა მოახდინა თავისუფალი პორტებისა და თავისუფალი ვაჭრობის ზონების საქმიანობის გაფართოებაზე.[29]

აღსანიშნავია, რომ ზუსტი სტატისტიკა და კლასიფიკაცია თავისუფალი ზონების არ არსებობს. გერმანიის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტის ინფორმაციით, ამჟამად მსოფლიოში სოფლიოში 5000-ზე მეტი სპეციალური ეკონომიკური ზონაა და ტენდენცია მზარდია. თავისუფალი ზონები

[29] პაპაჩაშვილი ნ. თეზ-ები, ოფშორები და საქართველო სიღარიბის გარეშე, ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, თბ., 2008, #9. https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/651

პასუხისმგებელნი არიან წელიწადში მინიმუმ 3500 მილიარდი ღირებულების ექსპორტზე, რაც საქონლით გლობალური ვაჭრობის დაახლოებით 20 პროცენტია.[30]

2.2. თიზ-ების ისტორია საქართველოში

საქართველოში პირველი თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრეცენდენტი არის ბათუმის საზღვაო პორტი ეგრეთწოდებული პორტო-ფრანკო (1878-1886წ).

პორტო-ფრანკო სიტყვასიტყვით თავისუფალ ნავსადგურს ნიშნავს, ასე უწოდებდნენ მაშინ რუსეთის იმპერიაში შემავალ ზღვისპირა ქალაქ ბათუმს. მისი შექმნის იდეა ინგლისელ დიპლომატებს ეკუთვნის, რომლებლაც ბერლინის კონგრესზე მოითხოვეს ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება და ამ სტატუსით გადაეცა მაშინდელ რუსეთის იმპერიას.

იმპერიისთვის ბათუმი რიგით მესამე პორტო-ფრანკო იყო ოდესისა და ვლადივასტოკის შემდგომ.ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდებით დაშვებული იყო მხოლოდ უცხოური საქონლის ბაჟის გარეშე შემოტანა პორტში, მაგრამ ეს შეღავათები არ გავრცელებულია რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებულ საექსპორტო საქონელზე. მისი ფართობი მოიცავდა 22 კვადრატულ კილომეტრს, ამ საზღვრის იქით უკვე ყველას უნდა გადაეხადა ბაჟი საქონელზე.

პორტო-ფრანკოს სტატუსი ბათუმს[31] 1878 წლის 29 ოქტომბრიდან 1886 წლის 27 ივნისამდე ქონდა. ამ მოქმედმა რეჟიმმა ბათუმში გამოიწვია ცხოვრების დონის საოცარი ზრდა. განვითარდა ინფრასტუქტურა ბათუმში დაიწყო სახლების, სასტუმროების, დუქნებისა და საწყობების მაშტაბური მშნებლობები, ამ სავაჭრო რეჟიმით ბევრად გაიზარდა ბათუმის მაცხოვრებელთა რაოდენობა. პორტო-ფრანკოს რეჟიმმა შეიძლება ვთქვათ, რომ გამოიწვია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

1881 წელს გაიხსნა პირველი რუსულენოვანი სასწავლებელი, 1882 წელს დაარსდა ბათუმის ქალთა სასწავლებელი. 1884 წელს გერმანელმა დორნერმა ააგო ევროპულ ყაიდაზე მორგებული აბანო. 1883 წელს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ნავსადგურს და ასევე გავიდა ბაქო-ბათუმის რკინიგზა . თავისუფალი ვაჭროპის ამ მდგომარეობამ ბათუმის ბევრი სიკეთე მოუტანა, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამ საკითხზე ისტორიკოსებს სხვადასხვა მოსაზრებები გააჩნიად:

„დროება“, 1883 წელი: „ბათუმი უსიამოვნო სურათს წარმოუდგენს მაყურებელს, როცა რომელიმე აჭარელი მოდის დამოჟნის პორტის უფროსთან და ეხვეწება: „შენი თავ-ფეხის ჭირიმე, ეს ერთი ადლი ჩითი გამატანე, ბაღნები ტიტვლები მყავს და უნდა შევუკერო“. მაგრამ ვინ არის გამგონი ამ მუდარისა.

---

[30] World Free Zones Economic Outlook, The Kiel Institute analyzes economic activity in Free Zones, Kiel Institute for the World Economy, 2022. https://www.ifw-kiel.de/institute/research-centers/business-cycles-and-growth/world-free-zones-economic-outlook/

[31] https://netgazeti.ge/life/7084/

ზოგიერთი აჭარელი პატარა ჩითს ან მიტკალს უბეში მალავს, მაგრამ ისე ოსტატურად და ხელოვნურად ვერა. მათ პოსტის სალდათებმა არ შეიძლება არ მიაგნონ და უბეში კონტრაბანდა არ დაუჭირონ. აი, უპოვეს აჭარელს უბეში მიტკალი, მიჰყავთ მილიციაში და შემდეგ, როცა ერთი ხუთად გადაიხდის კონტრაბანდის ფასს, მიდის დაღონებული“.

„ივერია“, 1886 წელი: „ბათუმი პორტო-ფრანკოა, ისეთი ქალაქი, სადაც უბაჟოდ ყოველიფერს შეიტან, მხოლოდ იქედან თუ გამოიტან, ბაჟი უნდა მისცე. ძალიან შეავიწროვა ხალხი ამგვარმა საქმის მდგომარეობამ. ეს არის მიზეზი, რომ ბათუმის მაზრამ მიართვა არზა უმაღლესს მთავრობას, რომ პორტო-ფრანკო მოისპოს. უეჭველია, უმაღლესი მთავრობა ხალხის სურვილს პატივს სცემს. მაშინ მთავრობას ექნება საქმე პირდაპირ უცხოელთა სოვდაგრებთან, რომელთაც თვითონ გადაახდევინებს ბაჟსა“.[32]

პორტო-ფრანოს რეჟიმის უხერხულობებას და მანკიერ მხარეებზე წერს ასევე დავით კლიდაშვილი რომელიც იმ დროისთვის ბათუმში ცხოვრობდა:

„ბათუმი მაშინ პორტო-ფრანკო იყო; პატარა ქალაქი ოთხი ათასი მცხოვრებით მდებარეობდა ზღვის პირად… მაშინ რკინიგზა არ იყო დამთავრებული და მისვლა-მოსვლა წარმოებდა ზღვით; ფოთიდან კვირაში რამდენჯერმე პატარა გემები დადიოდა და გადაჰყავდა მიმსვლელი და მომსვლელი… რაკი ბათუმი პორტო-ფრანკო იყო, ყოველი მგზავრის ბარგი ბათუმიდან გამგზავრების დროს უნდა გაეჩხრიკათ საბაჟოში და ხელმეორედ ფოთში მისვლისას. ეს იმისთვის, რომ კონტრაბანდით არ გამოეტანათ რამე ბათუმიდან. ბევრ არასასიამოვნო შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ბევრი სასაცილო ამბავიც მომხდარა. ნამეტურ ქალები აწარმოებდნენ კონტრაბანდისტობას, ბევრს იჭერდნენ, მაგრამ ბევრს ისე გაჰქონდა კონტრაბანდა, რომ საოცარი იყო მათი ამბავი“.

მიუხედავად იმისა, რომ პორტო-ფრანკოს მანკიერმა მმართველობამ ბევრი უარყოფითი შედეგი მოუტანა ადგილობრივ მოსახლეობას, მან მაინც ქალაქს განსაკუთრებული მომხიბვლელობა შესძინა.

არსებობის წლებში ბათუმში ყოველწლიურად მატულობდა მოგზაურთა რიცხვი, ისევე როგორც საქმოსანთა თუ უბრალო ცნობისმოყვარეთა რიცხვი. 1885 წელს ქალაქში 34500 უცხოელი ყოფილა. ბათუმის პორტო-ფრანკოთი განსაკუთრებით უკმაყოფილონი რუსი ვაჭრები იყვნენ, თავის დროზე ბათუმის თავს მოხვეული პორტო-ფრანკო არც იმპერიის ინტერესებში შედიოდა და შესაბამისად 1886 წლის ზაფხულში ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ბათუმი თავისუფალი პორტის სტატუსით სარგებლობდა ცალმხრივად შეწყდა. პორტო ფრანკო ისტორიას ჩაბარდა.

---

[32] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/545/simple-search?filterquery=%5B1886+TO+1889%5D&filtername=dateIssued&filtertype=equals
https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/17729

თავი 3. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ფუნქციონირების მექანიზმი

3.1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საგადასახადო შეღავათები საზღვარგარეთის ქვეყნებში

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს თავისუფალი ზონების სხვადსხვა ფორმები, ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (შემდგომში თიზ) რომელზეც ჩვეულებრივი სავაჭრო პირობებისგან განსხვავებით არის დაწესებული განსხვავებული შეღავათები და პირობები, მათ შორის საგადასახადო და საბაჟო კონტროლი.

სახელმწიფოები თიზ-ს ქმნიან მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე და შესაბამისად მასზე შექმნილი თავისუფალი ინდუსტრიული ზონაც წარმოადგენს მის ტერიტორიულ ნაწილს, რომელიც გამოყოფილია ჩვეულებრივი ტერიტორიისგან და მინიჭებული აქვს სპეცილური სტატუსი. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საქონლის შეტანა/გატანა, ასევე ფიზიკური პირები და მათ მიერ გადაადგილებული ბარგი ან ხელბარგი ექვემდებარება საბაჟო კონტროლს.

ჩემ მიერ განხილულ იქნება ის ქვეყნები (სომხეთი, ლიეტუვა, უზბეკეთი, მაკედონია, მალაიზია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, მოლდავეთი და ყაზახეთი), სადაც თავისუფალი ინდუსტრიული ზონები თავისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე წარმოადგენენ სამრეწველო ინდუსტრიულ ზონებს და უწყვეტად ფუნქციონირებენ ათწლეულების მანძილზე.

მალაიზია. საბაჟო კანონმდებლობების მიხედვით თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მოქმედი სუბიექტები თავისუფლდებიან საბაჟო გადასახადის, აქციზის მოსაკრებლის, გაყიდვებისა და მომსახურების გადასახადებისაგან.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში არსებობს თავისუფალი სავაჭრო ზონა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სადაც თავისუფალ ზონაში მოქმედი სუბიექტები თავისუფლდებიან ყველანაირი გადასახადისგან, გარდა ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადისა (ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 10%-ს).

მოლდავეთში თავისუფალ ზონაში მოქმედი სუბიექტების მიერ ექსპორტირებული საქონლიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება ქვეყანაში არსებული იურიდიული პირის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ნახევრით - 12,5%-ით; თავისუფალ ზონაში მოქმედი სუბიექტების საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება ქვეყანაში იურიდიული პირის არსებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის 75%-ით (18,75%); ის მოქმედი სუბიექტები, რომლებიც განახორციელებენ 1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიციას თავისუფალი ზონის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, თავისუფლდებიან ზემოთ აღნიშნული

საშემოსავლო გადასახადისაგან სამი წლის ვადით, ხოლო 5 მლნ აშშ დოლარის ღირებულები ინვესტირების შემთხვევაში თავისუფლდებიან ხუთი წლის ვადით; თავისუფალ ზონაში საქონლის იმპორტი და ექსპორტი თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან; აქციზის გადასახადისაგან თავისუფლდება ერთი თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან მეორე ინდუსტრიულ ზონაში საქონლის შეტანა და ამ ზონიდან საქონლის ექსპორტი.

ყაზახეთში ზონაში მოქმედი სუბიექტები თავისუფლდებიან იურიდიული პირის საშემოსავლო გადასახადისგან, მიწის და ქონების გადასახადებისგან. დღგ-სგან თავისუფლდება ზონის ტერიტორიაზე იმ საქონლის რეალიზაცია, რომელიც მთლიანად ხმარდება ზონის საქმიანობას. დაწესებულია სხვა შეღავათებიც: ზონის ტერიტორიაზე მოქმედებს უცხოური მუშახელის დაქირავების გამარტივებული წესი. ზონის ტერიტორიაზე პროექტის რეალიზებისათვის კომპანიას უსასყიდლოთ გადაეცემა მიწის ნაკვეთი 10 წლის ვადით.

უზბეკეთში თავისუფალი ინდუსტრიულ-ეკონომიკური ზონა „ნავოის“ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოები თავისუფლდებიან მიწის გადასახადისაგან, ქონების, მოგების, კეთილმოწყობის და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითა-რების გადასახადებისაგან, მცირე საწარმოებისათვის განკუთვნილ ერთიანი გადასახადისაგან და ასევე, რესპუბლიკის საგზაო ფონდში და სასკოლო განათლების ფონდში სავალდებულო შენატანებისგან: 7 წლის ვადით 3-დან -10 მლნ ევრომდე შემოსავლის მქონე საწარმოები; 10 წლის ვადით: 10-დან -30 მლნ ევრომდე შემოსავლის მქონე საწარმოები; 15 წლის ვადით 30 მლნ ევროზე მეტი შემოსავლის მქონე საწარმოები.

ჩრდილოეთ მაკედონიაში თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მოქმედი საწარმოების შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან 10 წლის ვადით. დამატებითი ღირებულების გადასახადისგან თავისუფლდება საქონლის ექსპორტი, რომელიც ხორციელდება ქვეყნიდან თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში. თეზ-ში არსებული შენობა ნაგებობები თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან. თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მოქმედი საწარმოები თავისუფლდება გადასახადებისაგან, რომელიც უკავშირდება წყლისა და საკანალიზაციო სისტემების გამოყენებას, გათბობის, გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდებას.

სომხეთში თეზ-ში მოქმედი საწარმოები თავისუფლდებიან მოგების, საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადებისაგან. ასევე თეზ-ის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობები თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან. თეზ-ის ტერიტორიიდან საქონლის იმპორტი თავისუფლდება იმპორტის გადასახადისაგან.

ლიეტუვაში თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში იქმნება ეკონომიკური საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო - ადმინისტრაციული კომპანია, რომელიც ზედამხედველობას უწევს თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში მოქმედი სუბიექტების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორგანიზებასა და შესრულებას.

აღნიშნული ორგანო წარმოადგენს იურიდიული პირის სტატუსის მქონე კომპანიას, სადაც არანაკლებ 51 % აქციების წილის მფლობელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, ხოლო 49 % - სახელმწიფო მფლობელობაშია. თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში დარეგისტრირებული საწარმოები და დასაქმებული პირები იხდიან შემდეგი სახის გადასახადებს: მოგების გადასახადს, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადს, დაბინძურების გადასახადს, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადს, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანებს, ჯანმრთელობის დაზღვევის შენატანებს, დღგ-ს, აქციზის გადასახადს, ბრუნვის გადასახადს, თეზ-ში დარეგისტრირებული და მოქმედი კომპანიები იხდიან მიწის გადასახადის განახევრებულ განაკვეთს. კომპანია, რომელიც იწყებს საქმიანობას თეზ-ში და განახორციელებს 1 მლნ ევროს ინვესტიციას, თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან 6 წლის ვადით, ხოლო მომდევნო 10 წლის მანძილზე აღნიშნული გადასახადის განაკვეთი ნახევრდება. თეზ-ში არსებული შენობა ნაგებობები თავისუფლდება ქონების გადასახადისაგან.

ლატვიაში თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მოქმედ კომპანიებს 10 წლის ვადით, საგადასახადო შეღავათები ენიჭებათ იმ პირობით, რომ ლატვიის ბაზარზე ამ ზონებიდან საქონლის ექსპორტი არ უნდა აღემატებოდეს ლატვიის ექსპორტის საერთო მოცულობის 20%-ს. თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მოქმედი კომპანიები თავისუფლდებიან დღგ-საგან, იმპორტისა და ექსპორტის საბაჟო გადასახადისაგან და უძრავი ქონების გადასახადისაგან. ასევე მოქმედებს მოგების გადასახადის განაკვეთზე 80%-იანი შეღავათი.

ბულგარეთში თეზ-დან საქონლის იმპორტი თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან. ასევე თეზ-ის ტერიტორიაზე საქონლის მიმოქცევა (ტრანზაქცია) თავისუფლდება აქციზის გადასახადისაგან.[33]

[33] თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საგადასახადო შეღავათები საზღვარგარეთის ქვეყნებში, საქართველო პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი, თბ., 2018.

3.2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საკანონმდებლო რეგულირება საქართველოში

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და სხვა ნორმატიული აქტებით.თავისუფალი ინდუსტრიული ზონა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული თავისუფალი ზონის ნაირსახეობა, სადაც მოქმედებს დამატებითი პირობები და საგადასახადო შეღავათები, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის ნაწილს განსაზღვრული საზღვრებით და კანონით მინიჭებული სპეციალური სტატუსით.[34] თავისუფალი ინდუსტრიული ზონა განსაზღვრული ვადით გამოიყოფა ეკონომიკური საქმიანობისთვის, რომლის ფარგლებში პირები ექვემდებარებიან სპეციალურ ეკონომიკურ და სამართლებრივ რეჟიმს და მასზე არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომლის ფართობი აღემატება 10 ჰექტარს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დაცული ტერიტორიებისა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შეიძლება შეიქმნას:

- *საქართველოს მთავრობის ინიციატივით;*
- *როგორც რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის (შემდგომში – ორგანიზატორი) მოთხოვნით მის საკუთრებაში ან/და თანამფლობელობაში არსებულ ან/და იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე.*

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნისთვის ორგანიზატორმა უნდა წარადგინოს გარანტია. გარანტიის ოდენობა განისაზღვრება წარდგენილი თავისუფალი ზონის მოწყობის გეგმის შესაბამისად თავისუფალი ზონის მიწის ნაკვეთის ფართობის ყოველ 1 კვადრატულ მეტრზე 5 ევროს ოდენობით, არა უმეტეს 2 000 000 ევროს ოდენობისა. გარანტია უნდა მოქმედებდეს თავისუფალი ზონის ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში და წარმოდგენილ უნდა იქნეს არანაკლებ 3 წლის ვადით. ყოველ 10 წელიწადში გარანტიით გათვალისწინებული თანხის ოდენობა იცვლება ინფლაციისა და ვალუტის კურსის ცვლილებების გათვალისწინებით.

ორგანიზატორი საქართველოს მთავრობას წარუდგენს განცხადებას თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის ინიციატივით (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს თიზ-ის ფუნქციონირების ვადა).

[34] საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“.

საქართველოს მთავრობა განცხადების მიღებიდან 50 დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ ან ორგანიზატორს ეუბნება დასაბუთებულ უარს.

საქართველოში შექმნილი თიზ-ების ერთიან შიდა საუწყებო რეესტრს აწარმოებს და თიზ-ის შექმნის შესახებ განცხადებას განიხილავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

თიზ-ში საქმიანობას ორგანიზატორის თანხმობით ახორციელებს თიზ-ის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საწარმოები, რომლებიც რეგისტრირდებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თიზ-ში შესაძლებელია ასევე საქმიანობა განახორციელოს თიზ-ის გარეთ რეგისტრირებულმა საწარმოებმა, თიზ-ში რეგისტრირებული მუდმივი წარმომადგენლობების მეშვეობით.

თიზ-ის შესასვლელსა და გასასვლელში ეწყობა საბაჟო გამშვები პუნქტები, რომელიც ახორციელებს თიზ-ში შემავალი და გამომავალი საქონლის საბაჟო კონტროლს და სასაქონლო ოპერაციის განხორციელებას. თიზ-ში შესაძლებელია შეტანილ იქნას როგორც საქართველოს, ასევე უცხოური საქონელი, რომელთაგან საქართველოს საქონლის შეტანა განიხილება როგორც ექსპორტი, ხოლო უცხოური საქონლის შეტანა წარმოადგენს თავისუფალი ზონის სასაქონლო ოპერაციას.

თიზ-იდან საქონელი შესაძლებელია შემოტანილ იქნას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე გატანილ იქნას სხვა ქვეყნებში, რომელთაგან თიზ-იდან საქონლის საქართველოში შემოტანა განიხილება როგორც საქონლის იმპორტი, ხოლო სხვა ქვეყნებში გატანა ექსპორტი.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში მოქმედებს შემდეგი საგადასახადო შეღავათები:

- მოგების გადასახადის ნულოვანი რეჟიმი მხოლოდ იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული წესით საქმიანი ურთიერთობა არ აკავშირებთ საქართველოსთან;
- უცხოური საქონლის შეტანა არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით;
- განხორციელებული ოპერაციები არ იბეგრება დამატებითი ღირებულების გადასახადით;
- მოქმედებს ასევე ქონების გადასახადის ნულოვანი რეჟიმი;
- ანგარიშსწორება ხდება ნებისმიერი ვალუტით.

თიზ-ში აკრძალულია შემდეგი სახის საქმიანობა:

- იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება და ვაჭრობა;
- ბირთვული, რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება და ვაჭრობა;
- ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების შეტანა, შენახვა, წარმოება ან/და რეალიზაცია;

❖ თამბაქოს ნაწარმის ან/და თამბაქოს ნედლეულის შეტანა, შენახვა, წარმოება, რეალიზაცია, გარდა ადგილზე მოხმარებისთვის განკუთვნილი საქონლის შეტანისა, რომელიც განიხილება როგორც საქონლის ექსპორტი.

შესაძლებელია თიზ-ში ცალკეული საქმიანობის სახეობაზე დაწესდეს აკრძალვები და შეზღუდვები. თიზ-ზე შესაძლებელია გავრცელდეს მხოლოდ ის აკრძალვები და შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია თიზ-ის შექმნამდე.

თიზ-ის ლიკვიდაციის საფუძვლები შეიძლება იყოს:

❖ ვადის ამოწურვა

❖ ორგანიზატორის განცხადება თიზ-ის ლიკვიდაციის თაობაზე;

❖ საქართველოს მთავრობის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილება.

თიზ-ის ლიკვიდაციის დროს ორგანიზატორსა და საქართველოს მთავრობას შორის იქმნება სალიკვიდაციო კომისია. თიზ-ის ლიკვიდაციასთან დაკავშირე-ბული დავები განიხილება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები: გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და გამოწვევები

4.1. თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიების 2021-2023 წლის საბიუჯეტო შენატანები

ცხრილი 1.

ინფორმაცია თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოების შესახებ 2021-2023წწ. საგადასახადო პერიოდში

საგადასახადო პერიოდი	გადახდილი გადასახადი (ლარი)	ექპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის ღირებულება (ლარი)
2021	6,128,827.84	114,782,485.54
2022	6,083,969.55	132,534,.025.27
2023	8,924,246.54	268,979,293.22

წყარო: ინფორმაცია მომზადებულია თიზ-ის ფუნქციონირების განმახორციელებელ ორგანიზატორი/ადმინისტრატორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად.

მონაცემებში მონაწილეობას იღებენ ის გადამხდელები, რომელთაც პერიოდის შესაბამისად ერთი დღე მაინც უფიქსირდება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს სტატუსი[35].

ბოლო 3 წლის მონაცემების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში თიზ-ების განვითარება პერსპექტიულია როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე, იმ ინვესტორებისთვის, რომლებიც ოპერირებენ ან აპირებენ ოპერირებას საქართველოს ტერიტორიაზე.

საბიუჯეტო შენატანების მხრივ გადასახადები მიუხედავად იმისა, რომ მწირია და შეადგენს სულ რაღაც 21 მილიონ ლარს 3 წელიწადში, ვფიქრობთ, სხვა ასპექტებით აქვს დადებითი გავლენის პერსპექტივა საქართველოს ეკონომიკაზე, როგორიცაა ინვესტიციების მოზიდვა, ექსპორტის ზრდა და უცხოეთის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება.

[35] სსიპ-შემოსავლების სამსახურის 2024 წლის N21-11/21173 პასუხი მოთხოვნილ ინფორმაციაზე.

4.2. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საქართველოს ექსპორტი

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის ღირებულება დაახლოებით 516 მილიონი ლარია (516,295,804.03 ლარი).

საგარეო ვაჭრობა ეს არის ექსპორტ-იმპორტოს წესით ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთგაცვლა. საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები დამოკიდებულია რამდენიმე ძირითად ფაქტორტზე როგორიცაა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ-ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად საჭიროა ყველა მართლზომიერი პოლიტიკის გატარება ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის.

საერთაშორისო ვაჭრობა ორი სასაქონლო ნაკადისაგან შედგება: ექსპორტისა (საქონლის გაყიდვა და გატანა საზღვარგარეთ) და იმპორტისაგან (საქონლის შესყიდვა და შემოტანა ქვეყანაში).

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსის და თავისებურებების შესწავლა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო პროცესების დინამიკისა და ტენტეციების შეფასება ანალიზის მეთოდით. გასული წლების განმავლობაში საქართველოს ექსპორტ-იმპორტის დინამიკა გვიჩვენებს, რომ იმპორტი ბევრად სჭარბობს ექსპორტს, შესაბამისად საქართველოს საგარეო ვაჭრობა უარყოფითი სალდოთი ხასიათდება.

საქართველოში საქონლით საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის მონაცემთა ფორმირება ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის განყოფილების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული მეთოდოლოგიით[36].

საგარეო ვაჭრობაში საქართველოს სახელმწიფო იყენებს აღრიცხვის „ზოგად მეთოდს", საქონლის ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვის ძირითადი კრიტერიუმია მის მიერ ქვეყნის ეკონომიკური ტერიტორიის საზღვრის კვეთა.

ექსპორტში იგულისხმება როგორც ადგილობრივი წარმოების ექსპორტი, ისე იმპორტირებული საქონლის რეექსპორტი. იმპორტში იგულისხმება ქვეყანაში პროდუქციის შემოტანისა და ექსპორტირებული საქონლის რეიმპორტი.

საგარეო სავაჭრო ოპერაციების ინფორმაციის ძირითადი წყაროა სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა, რომელსაც სტატისტიკის ეროვნული

[36] „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა 2010" (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2011 წ.) და „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა: სახელმძღვანელო შემდგენელთათვის (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2013 წ.) შესაბამისად.

სამსახური ყოველთვიურად იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან.

2023 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 21 529 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12.5%-ით მეტია. აქედან, ექსპორტი გაიზარდა 9.1%-ით და 6 090.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო, იმპორტი გაიზარდა 14%-ით და 15 438.45 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა. 2023 წელს უარყოფითმა სავაჭრო სალდომ 9 347.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.4 პროცენტია.

სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი გადასაჭრელი პრობლემა უარყოფითი სავაჭრო სალდოს შემცირებაა. ამისათვის ქვეყნები მიმართავენ სხვადასხვა ტიპის საქმიანობების წახალისებას და ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი გზა უარყოფითი სავაჭრო სალდოს შემცირების არის სწორედ თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, რადგანაც ისინი ძირითადად ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიებით გვხვდება.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2017-2023 წლის მდგომარეობით:

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2020 წლიდან (პანდემიის შემდგომ) მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით ხასიათდება და ამ ტენდენციას 2023 წლის ჩათვლით ინარჩუნებს. ამასთან, საგარეო ვაჭრობის ორივე კომპონენტი, როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.[37]



ნახ. 1. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2017-2023 წლებში, მლნ აშშ დოლ.
ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა #4) მონაცემებს. მონაცემები ფორმირებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

[37] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო https://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2023/ftt_2023.pdf

შესაბამისად თუკი თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს შევხედავთ იმ კუთხითაც, რომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას დამატებით, ქვეყნისთვის სხვა სიკეთეების მომტანად, როგორიცაა ზემოთ მოყვანილი უარყოფითი სავაჭრო სალდოს შემცირება, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა იყოს სრულებით დახვეწილი და აღმოიფხვრას რიგი პრობლემები თიზ-ებში, რათა მათ შეძლონ იმ ფუქნციის შესრულება რომლისთვისაც არიან შექმნილნი. არსებული კანონმდებლობით საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობის შემთხვევაში თიზ-ები იბეგრებიან ზემოთ აღნიშნული 4%-იანი გადასახადით, რაც აღვნიშნეთ, რომ გარკვეულ უხერხულობებს უქმნის როგორც თიზ-ებს, ასევე, ადგილობრივ წარმოებასაც. გარკვეულ შემთხვევებში თიზ-ები შესაძლოა გახდნენ იძულებულნი, რომ პროდუქცია შემოიტანონ სხვა ქვეყნიდან, რათა შეამცირონ დანახარჯები ამაში ისინი შეზღუდულნი არ არიან. შესაბამისად თიზ-ები შეიძლება გახდეს ფაქტორი უარყოფითი სავაჭრო სალდოს ზრდის ტენდენციის, ამიტომაც არის მნიშვნელოვანი სწორი, მართლზომიერი ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრატეგი-ების შემუშავება სახელმწიფოს მხრიდან, რათა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იყოს ის მოქნილი ისნტრუმენტი ინდუსტრიალიზაციისკენ სწრაფვისა და ეკონომიკური დოვლათის შექმნისათვის, რომელიც მას თვისობრივად გააჩნია.

4.3. საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (Foreign Direct Investment - FDI) საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის.[38]

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის - საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მისი გაანგარიშება საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით[39].

---

[38] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური -პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2021
https://www.geostat.ge/media/49165/FDI--%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-2021.pdf

[39] საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო, მე-6 გამოცემა, სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 2008.

პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები.

FDI - ეს არის განვითარებადი ქვეყნისთვის კაპიტალის ის მარაგი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის მოძლიერებაში, ასევე არის წყარო უცხოური ვალუტის შემოდინების, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობას.

დღეის მდგომარეობით საქართველლო არის ისეთ პოზიციაში, სადაც არის ინვესტორთათვის ყველა ის გარემო ფაქტორია შექმნილი, რაც მიმზიდველია როგორც მოკლევადიანი ისე გრძელვადიანი ინვესტიციის განსახორციელებლად. ლიბერალური საგადასახო პოლიტიკა, გამარტივებული ლიცენზიები, სპეციალური სავაჭრო თუ საწარმოო ზონები კი განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებს საქართველოში უცხოური კაპიტალის დაბანდებას.

FDI-ის ძირითადი კომპონენტებია: სააქციო/საწესდებო კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ვალდებულებები.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ მოცემულ პერიოდში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მზარდი ტენდენცია გვაქვს, სადაც თავისი როლი ითამაშა თავისუფალმა ინუდსტრიულმა ზონებმაც.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანი ელემენტია განვითარებადი მქონე ქვეყნების განვითარებაში. მნიშვნელოვანია ის სიკეთეები რომელიც FDI-ის თან ახლავს როგორებიცაა: კაპიტალი, ცოდნა, ტექნოლოგიები, სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკის სწრაფი ზრდის სტიმულირება.

ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით სახელმწიფოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.

საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმეტესობა მოდის ეგრეთწოდებული ბუნებრივი რესურსების მაძიებელ და ბაზრის მაძიებელ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რომელიც ტექნოლოგიების გავრცელების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, მაგრამ ეფექტიანობაზე დაფუძნებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს უფრო მეტი უპირატესობები აქვს, ვიდე მხოლოდ კაპიტალის შემოდინება და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაა. ის ხელს უწყობს ცოდნისა და ტექნოლოგიების გადმოტანას, ექსპორტის და დამატებითი ღირებულებების ზრდას, ექსპორტის დივერსიფიცირებას, ადგილობრივი სამუშაო ძალის კვალიფიკაციის და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.[40]

[40] სსიპ ,,აწარმოე საქართველოში'' მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგია 2020-2021 წლების სტრატეგია

ცხრილი 2.

საწარმოები, სადაც 2022 წელს განხორციელდა მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

საგადასახადო კოდი Codes	დასახელება Name of the enterprises	სექტორი Sectors	ინვესტორი ქვეყნები Investor countries
204544154	შპს რას ალ ხაიმა ინვესტმენტ აუტორიტი ჯორჯია Ras Al Khaimah Investment Authority	სასტუმროები და რესტორნები Hotels and restaurants	არაბთა გაერთიანებული ემირატები United Arab Emirates
204876606	შპს მაგთიკომი Magticom LLC	ინფორმაცია და კომუნიკაცია Information and communication	აშშ United States
205169066	სს ენერგო - პრო ჯორჯია Energo Pro Georgia LTD	ენერგეტიკა Energy sector	ჩეხეთი Czech Republic
236089273	შპს ტოიოტა კავკასია Toyota Caucasus LTD	ვაჭრობა Trade	იაპონია Japan
404591599	სს ჯორჯია გლობალ იუთილითიზ GeorgianGlobal Utilities JSC	უძრავი ქონება Real estate activities	ესპანეთი Spain
404630645	შპს აკვალია საქართველო Aqualia Georgia LLC	წყალმომარაგება და ნარჩენების მართვა Water supply; sewerage	ესპანეთი Spain
404909934	შპს სითი ლოფტი CITY LOFT LLC	ხელოვნება, გართობა და დასვენება Arts, entertainment and recreation	ირლანდია Ireland
404934381	სს Hualing international special economic zone JSC Hualing international special economic zone	მშენებლობა Construction	ჩინეთი China
405103034	სს ბიჯეო ჯგუფი BGEO Group JSC	საფინანსო სექტორი Financial sector	გაერთიანებული სამეფო United Kingdom
405419961	შპს ეპამ სისტემს (ჯორჯია) EPAM Systems (Georgia) LLC	ინფორმაცია და კომუნიკაცია Information and communication	აშშ United States

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცნობილია, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. წარმატებულ თიზებს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ ზემოთ მოყვანილ სიკეთეში ქვეყნისთვის, რომელმაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ეროვნული ეკონომიკის მოძლიერებაში.



ნახ. 2. პირდაპირი უხცოური ინვესტიციები საქართველოში, მლნ აშშ დოლ.[41]

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები საქართველოში უნდა გახდეს საინვესტიციო შესაძლებლობების მსოფლიო არენა. ამისათვის საჭიროა სახელმწიფოს აქტიური მუშაობა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების წარმომადგენლებთან ერთად, რათა განისაზღვროს შესაბამისი სტრატეგია თუ როგორ მოიზიდონ და დააინტერესონ ინვესტორი. ნებისმიერი განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველი პირდაპირი უცხოური ინვესტიციაა, მათ შორის საქართველოსიც რადგან როგორ წესი ადგილობრივი ინვესტიციები დეფიციტურია. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ინვესტიციების უმეტესობა დროში შეზღუდულია, შესაბამისად აუცილებელია მომზადდეს შესაბამისი საინვესტიციო გარემო. სტაბილური და პროგნოზირებადი საკანონმდებლო პროცესები საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანია, ამიტომაც აღვნიშნავთ რომ საკანონმდებლო ხარვეზების კორექტირების შედეგად შესაძლებელია საინვესტიციო გარემოს დახვეწა. როდესაც საუბარია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე, პირველ რიგში

[41] სტატისტიკის ეროვნული სამსახური -პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2022.წ
https://www.geostat.ge/media/57902/FDI---%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90---2022.pdf

მნიშვნელოვანია ინვესტიციები მიიმართოს ეკონომიკის რეალურ სექტორში, მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების ხარისხსა და რაოდენობაზე, მათ უნდა უზრუნველყონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დარეგვა ქვეყანაში. ინვესტიციის მოზიდვისას არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ინვესტორთათვის სამართლებრივი გარანტიების მიცემას, რომ მათ მიერ განხორციელებული ინვესტიციები იქნება დაცული. საქართველო ინვესტირებისთვის მიმზდველი ქვეყანაა შემდეგი გარემოებების გამო: მიმზიდველი ეკონომიკური გარემო, ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები, ლიბერალური საგადასახადო კოდექსი და სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა. ინვესტიციების დადებით ეფექტს წარმოადგენს ისიც, რომ იგი არა მარტო იმ დარგის განვითარებას იწვევს, სადაც ხორციელდება ინვესტიცია, არამედ მომიჯნავე დარგებისაც.[42]

ინვესტიციების მოზიდვისას ქვეყანაში გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტები: თუ რა სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას ანხორციელებს ქვეყანა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში; საინვესტიციო ბიზნესის ხელშეწყობა; ეკონომიკური ფაქტორები.

მნიშვნელოვანია ასევე აშშ-ს საელჩოს 2023-წლის შეფასება საქართველოს საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებით, სადაც საქართველოს საინვესტიციო გარემო დადებითაა შეფასებული რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ,,ბლუმბერგის''[43] 2022 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შესახებ წლიური გლობალური კვლევის მიხედვით, საქართველო წარმოჩინდება როგორც პოპულარული საინვესტიციო ქვეყანა, რომელსაც 13-ე ადგილი უკავია საინვესტიციო მიმზიდველობის მიხედვით მსხვილი, გლობალური ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიგებში, რომელთა შორისაა აშშ, ჩინეთი და გაერთიანებული სამეფო.

კვლევის მონაცემების მიხედვით, საქართველოთი დაინტერესებულ ინვესტორთა 70% ოპტიმისტურად არის განწყობილი ქვეყნის ეკონომიკის მიმართ - ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 55%-იან გლობალურ საშუალო მაჩვენებელს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ წამყვან პირებს ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობების უფრო მეტად ესმით.

საქართველოთი დაინტერესებული ინვესტორთა ძირითადი საინვესტიციო სფერო მოიცავს ახალ ბაზრებზე შესვლას, მომარაგების საკვანძო ადგილობრივი ჯაჭვებისა და ბიზნესის მომსახურების ჩამოყალიბებას, ასევე ახალი კომერციული ობიექტების აგებასა და გრძელვადიანი ინფრასტრუქტურის შექმნას.[44] ყოველივე

---

[42] ლაზარაშვილი თ. საინვესტიციო გარემო და მისი თავისებურებები საქართველოში, კრებულში „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“, თბ., 2017. https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=249&title=%

[43] Bloomberg- გავლენიანი საერთაშორისო გამოცემა

[44] აშშ-ს საელჩო საქართველოში 2023 წლის საინვესტიციო გარემოს შეფასება https://ge.usembassy.gov/ka/2023-investment-climate-statement-ics-ka/

ზემოთ აღნიშნულით ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს მოზიდვა, მაგრამ ეროვნული ინტერესები უნდა იყოს გათვალიწინებული და დაცული.

საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა ინვესტიციების მოზიდვის კუთხით მიზანმიმართული უნდა იყოს ასევე შიდა საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე. ხელი უნდა შეეწყოს და წახალისდეს ქართული სამრეწველო ჯგუფების შექმნასა და განვითარებას, რაც გულისხმობს ქვეყნის შიგნით ბიზნეს სუბიექტების გაერთიანებას ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების კუთხით.

აღნიშნული საკითხი მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის, რადგან ის იქნება ადგილობრივი ინვესტიციის წყარო და შესაბამისად განხორციელებული პროექტების შედეგად მიღებული მოგება ქვეყანაში დარჩება. ამ ყველაფრის განხორციელებისათვის საქართველოში წარმოდგენილია თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიებით და ვფიქრობ რომ შიდა საინვესტიციო კლიმატის განვითარებისთვის აქტიური კამპანია უნდა აწარმოოს როგორც სახელმწიფომ ასევე ზონების ადმინისტრაციამ.

4.4. რეგიონული განვითარება და ინდუსტრიული ჰაბები

რეგიონული განვითარების პოლიტიკა გულისხმობს ქვეყნის და მისი ტერიტორიების თანაბარზომიერი და მდგრადი განვითარების პოლიტიკის განხორციელების პროცესს, რომელიც მიზანმიმართულია ქვეყნისა და მისი ტერიტორიების როგორც სოციალური ასევე ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალურად ასათვისებლად, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად.[45]

რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს ხელისუფლების მხრიდან მკაცრად ორგანიზებულ, მიზანმიმართულად დაგეგმილ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის მთავარი პრიორიტეტი გახლავთ იმ მნიშვნელოვანი დარგების განვითარება, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისთვის, რაც თავის თავში გულისხმობს როგორც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარებას.

არსებული რესურსების ხარჯზე მნიშვნელოვანია საქართველოს ყველა რეგიონის პოტენციალი მაქსიმალურად იყოს ათვისებული, რათა ქვეყანამ მიიღოს

[45] საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაცია.

ის სიკეთეები, რაც რა თქმა უნდა ისევ და ისევ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისკენ იქნება მიმართული.

საქართველოში რეგიონული განვითარების პოლიტიკას ანხორციელებს საქართველოს ,,რეგიონული განვითარებისა და ინსფრასტრუქტურის სამინისტრო". რეგიონული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სტრატეგიულ ამოცანად იყოს დასახული ისეთ პროცესები, როგორიცაა:

1. ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის განვითარება;
2. ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
3. მცირე და საშუალო წარმოების, ზრდაზე ორიენტირება;
4. ექსპორტის ხელშეწყობა და წარმოება;
5. ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეწყობა.

რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ მძლავრ ინსტრუმენტად განვიხილავ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს ან მის რომელიმე ქვეკატეგორიას როგორიცაა მაგალითად თავისუფალი ინდუსტრიული ზონები. თიზ-ების განვითარების ხელშეწყობას მნიშვნელოვნად შეუძლია განავითაროს და წინ წამოწიოს საქართველოს თითოეული რეგიონი, მისივე პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებით. საქართველოში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებისათვის ინტენსიური ხასიათი უნდა მიეცეს რეგიონული განვითარების კვლევა-ძიებისკენ მიმართულ საქმიანობებს.

რეგიონის განვითარების ძირითადი წინაპირობაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებული პირობა-ფაქტორების ერთობლიობა და თავისებურებები, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

1. გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;
2. ბუნებრივი გარემო და რესურსული პოტენციალი;
3. შრომითი პოტენციალი;
4. საწარმოო ძალების განვითარების დონე;
5. დემოგრაფიული პირობები.

ეს პირობები როგორც ერთობლიობაში, ისე ცალ-ცალკე განსაზღვრავს ტერიტორიის განვითარების პოტენციურ შესაძლებლობებს. ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდების გამოყენებით მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა ტიპის სპეციალური ეკონომიკური ზონა შეიძლება შეიქმნას ამა თუ იმ რეგიონში. ასევე აუცილებელია განსაზღვრული იყოს ის დარგობრივი მიმართულებები და პოტენციალი რომელიც გააჩნია თითოეულ რეგიონს.

ეკონომიკური განვითარების საწყისი დონის შეფასებით მნიშნელოვანია გამოვლინდეს შესაძლებლობები სიახლის დასანერგად და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. რეგიონის განვითარების საწყის მომენტად მიჩნეული უნდა იქნეს რეგიონული წარმოების ფაქტორების გაერთიანება ერთიან საწარმოო ორგანიზმად - სამეურნეო კომპლექსად. შესაბამისად შემდგომ ეტაპად უზრუნველყოფილი უნდა იყოს წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევა

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ხარჯზე, რომლესაც გააჩნია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი იმ მიზნის მისაღწევად, რამაც საბოლოო ჯამში უნდა განაპირობოს რეგიონის ეკონომიკური ზრდის ტენდენცია.

ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის, დღის წესრიგში უნდა იდგეს წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხი, რაც რა თქმა უნდა მიღწევადია სწორი და გაანალიზებული სტრატეგიის შემუშავებით. რეგიონული ეკონომიკური განვითარება მოწოდებულია უზრუნველყოს მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ამის საფუძველზე კი საჭიროა მზარდი წარმოების არსებობა რეგიონში.

ბუნებრივი რეესურსების რაციონალური გამოყენებისა და ისეთი ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმის ფორმირებისთვის, რომელმაც უნდა უზრუნველყოვს წარმოების განვითარება ზემოთქმული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვან ფაქტორად განვიხილავ თეზ-ებს, რადგანაც როგორც თეზ-ის, ასევე, მისი სხვა ქვეკატეგორიების შექმნისა და განვითარების მიზანი სწორედ რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას ეფუძნება.

აღნიშნული საკითხის რეალიზაციაში პრაქტიკაში აპრობირებულია სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდი როგორიცაა: მიზნების დასახვა, მდგომარეობის შეფასება, სტრატეგიის არჩევა, გეგმის შემუშავება, გეგმის კორექცია.

რეგიონის განვითარების სტრატეგია შეიძლება განისაზღვორს კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე. პირველ რიგში მხედველობაშია რეგიონის განვითარების შინაგანი ფაქტორები: ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ეკონომიკის მდგომარეობა, მისი სტრუქტურა და სპეციალიზაცია, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონე, რეგიონული ბაზრის თავისებურებანი და სხვა. რაც შეეხება რეგიონის განვითარების გარე ფაქტორებს: სახელმწიფოს ეკონომიკური და რეგიონული პოლიტიკა, საექსპორტო და საიმპორტო შესაძლებლობები. რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია არის სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის, მათ შორის რეგიონული პოლიტიკის ორგანული ნაწილი.[46]

რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობების გააქტიურების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ინდუსტრიული ჰაბების შექმნა, მათი მართვა და განვითარება, ვინაიდან მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდება რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება. თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შექმნის შედეგად შესაძლებელი ხდება რეგიონში სამეწარმეო საქმიანობების გააქტიურება, აქედან გამომდინარე მათი შექმნილი პროდუქციის რეალიზაცია თიზ-ის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს ნებისმიერი რეგიონი ეს არის ბუნებრივი, შრომითი და სხვა საწარმოო ფაქტორების უნიკალური კომპლექსი, რომელსაც გააჩნია

[46] ბარათაშვილი და სხვ. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, სტუ, თბ., 2022.

განსაკუთრებული მდებარეობა. რეგიონის თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა შეირჩეს მათი განვითარების საწარმოო პროფილი, კერძოდ: სასოფლო-სამეურნეო, გადამაუშავებელი თუ მომპოვებელი.

საქართველოს უმრავლესი რეგიონის ეკონომიკისათვის მრეწველობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვანს დარგს, ამდენად საქართველოს რეგიონების ეკონომიკის განვითარებისთვის მრეწველობის განვითარება თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საშუალებით, არის მიზანშეწონილი პროექტი, რომელიც რა თქმა უნდა განხილვის, დაგეგმვისა და განხორციელების საგანი უნდა გახდეს.

საქართველოს რეგიონებში შექმნილი ინდუსტრიული ჰაბები, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმს და შესაბისად ისარგებლონ შეთავაზებული საგადასახადო პაკეტებით ვფიქრობ, რომ მიზანშეწონილი იქნება შემდეგი დარგების განვითარება, როგორიცაა:

1. ელექტრო ენერგეტიკა;
2. შავი მეტალურგია;
3. ფერადი მეტალურგია;
4. ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა;
5. მეტალის გადამუშავება;
6. სატყეო, ხის გადამამუშავებელი, ქაღალდის წარმოება;
7. მსუბუქი მრეწველობა (ტექსტილის, სამკერვალო ტყავის, ბეწვეულისა და ფეხსაცმლების);
8. კვების მრეწველობა;
9. საფქვავი-საღერღი და კომბინირებული საკვების მრეწველობა.

ეს რა თქმა უნდა არის არასრული ჩამონათვალი იმ შესაძლებლობებისა და ეკონომიკის სექტორების, რომელთა განვითარებაც არის შესაძლებელი.

4.5. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და პერსპექტივა თავისუფალი ეკონომიკური ზონების ჭრილში

გეოპოლიტიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში გეორგრაფიული ფაქტორის როლს და მის გავლენას სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც გეოგრაფიულ ფაქტორს, ასევე, ეკონომიკურ და სტრატეგიულ პოზიციებს.

გეოპოლიტიკური სიმძლავრის ძირითადი კრიტერიუმებია: ტერიტორიის ფართობი; საზღვრის ბუნება (ზღვაზე გასასვლელი); მოსახლეობის რაოდენობა;

ბუნებრივი რესურსები; ფინანსური სიძლიერე; ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე; ეთნიკური ერთგვაროვნება; პოლიტიკური სტაბილურობა.

გეოპოლიტიკა ეს არის ,,მსოფლიოს ჭადრაკის დაფა", რომელზეც ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა სწორი სტრატეგიის განხორციელებით წინ წამოწიონ თავიანთი ქვეყნის პოზიციები; განავითარონ და შექმნან ის სტაბილური გარემო, რაც კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ინტერესებშია. სწორედ ამიტომ გეოპოლიტიკური კრიტერიუმების - ფინანსური სიძლიერის, ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონის გასაძლიერებლად, ვფიქრობ, რომ თავისუფალი ინდუსტრიული ზონები იქნება ერთ-ერთი ეფექტიანი ინსტრუმენტი. თიზ-ების სწორად ჩამოყალიბების შედეგად, მასში რიგი პრობლემების აღმოფხვრით და სახელმწიფოს გონივრული ჩარევის შედეგად, ეკონომიკის სწრაფი გაჯანსაღების ტენდენციით საქართველოს გეოპოლოტიკური მდგომარეობა მეტად გამყარდება.

გლობალური ეკონომიკური პროცესების განსავითარებლად დღეის მდგომარეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გეოპოლიტიკური სიტუაციაა. შესაბამისად გეოპოლიტიკური მდგომარეობა გამოყენებული უნდა იყოს ეკონომიკური პროცესების აქტიურ სტრატეგიად.

საქართველო ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, კერძოდ კი კავკასიაში მდებარეობს. ეს ის უძველესი სატრანსპორტო გზაჯვარედინია, სადაც გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი გზა ე. წ. აბრეშუმის[47] გზა.

საქართველო შავი ზღვით უკავშირდება შავიზღვისპირეთის ქვეყნებს, ხოლო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებს. გიბრალტარის სრუტით კი შესაძლებელია კავშირი მთელს მსოფლიოსთან. შესაბამისად საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის გამყარებისა და გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანია სტრატეგიულად სწორი ინფრასტრუქტუ-რული პროექტების განხორციელება. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის რეალიზაცია ძალზედ მნიშვნელოვანია, რამდენადაც პორტი მდებარეობს ძველი სავაჭრო გზის მნიშვნელოვან მონაკვეთზე და ამასთნ, ის არის ახალი აბრეშუმის გზის საკვანძო სატრანსპორტო წერტილი ევროპასა და ჩინეთს შორის ვაჭრობის გასაძლიერებლად. შესაბამისად მსგავსი დონის პროექტის განცხორციელების დროს აუცილებელია საქართველო მზად დახვდეს არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისუფალი ეკონომიკური თუ ინდუსტრიული სივრცეებით, რომელიც თავისი არსით მიმზიდველ საინვესტიციო შესაძლებლობად უნდა იყოს განხილული როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორისათვის.

საქართველოს გეოპოლოტიკური მდებარეობის მნიშვნელობას ინვესტორთა მოსაზიდად და ასევე, ეკონომიკურად დადებით შედეგებზე გასასვლელად მნიშვნელოვნად ხელს უყწობს ის მოქმედი სავაჭრო რეჟიმები, რომელიც გაგვაჩნია:

[47] აბრეშუმის გზა - ტრანსკონტინენტური სავაჭრო საქარავნო გზა, რომელიც ჩინეთს ხმელთაშუა და შავი ზღვების სანაპიროებთან აკავშირებდა.

1. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MOST FAVORED NATION) - საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის (ვმო) წევრი და შესაბამისად წევრ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება MFN საფუძველზე;

2. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GENERALIZED SYSTEM OF PREFERENCES - GSP) - საქართველო არის აშშ-ის, იაპონიის, და კანადის პრეფერენციათა სისტემის ბენეფიციარი, რაც აადვილებს ექსპორტს საქართველოდან;

3. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ევროკავშირთან, დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან;

4. 2014 წლიდან ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმება (DCFTA);

5. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის; [48]

6. და სხვა.

შესაბამისად მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულე-ბები მნიშნელოვნად გადადგუმული ნაბიჯია საქართველოს ეკონომიკის მდგრადო-ბისთვის. ამ ხელშეკრულებებთან ერთად საქართველოში წარმოებული პროდუქცია თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ჭრილში მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს, რაც თავისთავად ქმნის ინვესტორებისთვის კარგ სამეწარმეო გარემოს.

იმისათვის რომ საქართველო იქცეს ტრანსნაციონალური ინვესტირებისთვის, წარმოებისა და ვაჭრობისთვის შესანიშნავ ჰაბად, საჭიროა გამოიკვეთოს და განვითრდეს შესაბამისი უპირატესობები.

მნიშვნელოვანია თიზ-ის ის გარე ფაქტორები წარმოვაჩინოთ საქართველოში უკვე შექმნილი ან/და მომავალში შექმნილი თიზ-ებისთვის, რომელიც მათ ეფექტიან მუშაობაში უდიდესი წვლილის შემტანია.

საქართველოს რკინიგზის, ავტომაგისტრალის, აეროპორტებისა და საზღვაო პორტების სიახლოვე აქცევს საქართველოში პოზიციონირებად თიზ-ებს შესანიშნავ სამრეწველო, სავაჭრო, და ლოჯისტიკურ ჰაბად აზიასა და ევროპას შორის. მოქმედ სავაჭრო რეჟიმებთან და შეთავაზებულ საგადასახადო პაკეტებთან ერთად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამართული ლოჯისტიკისთვის საქართველოში არსებობს:

1. თბილისისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;
2. ბათუმისა და ფოთის პორტი;
3. საქართველოს რკინიგზა;
4. განახლებული ავტომაგისტრალი.

---

[48] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და საერთაშორისო ხელშეკრულებები
https://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

4.6. საქართველოში მოქმედი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საქმიანობაში არსებული პრობლემატიკა (კანონმდებლობასთან მიმართებით)

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში მოქმედი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონით თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 25-ე მუხლით, რომელთა მიხედვით თიზ-ებს ენიჭებათ გარკვეული საგადასახადო უპირატესობები.

აღნიშნული კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მიმართ მოქმედებს იმპორტ-ექსპორტის 4%-იანი გადასახადი. ინდუსტრიულ ზონებში მოქმედი კომპანიების ნაწილის განცხადებით, 4%-იანი გადასახადი უქმნით ერთგვარ უხერხულობას თავიანთ საქმიანობაში, როგორც მაგალითად:

- ❖ ძირითად საშუალებებზე/სამშენებლო მასალებზე დაწესებული 4 %-იანი გადასახადი (საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, მუხლი 9, პუნქტი 6) რომლის მიხედვითაც უცხოური საქონელი გათავისუფლებულია იმპორტის გადასახადისაგან, ხოლო ქართული პროდუქციის იმპორტირება თიზ-ის ტერიტორიაზე იბეგრება 4%-იანი გადასახადით.
- ❖ თიზ-დან საქართველოში გაყიდვის შემთხვევაში 4%-იანი გადასახადის შემცირება გადამუშავებულ პროდუქციაზე. 4%-იანი გადასახადი შემცირდეს 2%-ამდე (საგადასახადო კოდექსი მუხლი 25, პუნქტი 3).
- ❖ საშემოსავლო გადასახადის დროებით შემცირება ან გათავისუფლება (ინვესტიციების მოზიდვის მიზნით) .
- ❖ თიზ-ის ორგანიზატორის/ადმინისტრატორის შეზღუდვები, კერძოდ თიზ-ის ორგანიზატორს მიეცეს უფლება თვითონ უზრუნველყოს სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები თიზ-ში. (საქართველოს კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ, მუხლი 14).
- ❖ თიზ-ის საწარმოების ელ. მომარაგების საკითხი (როდესაც აბონენტს სურს გახდეს პირდაპირი მომხმარებელი საქართველოს ელექტროსისტემის).

დასკვნა

სამაგისტრო კვლევის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციების მიზანია საქართველოში მოქმედი თიზ-ების ეფექტიანობის ზრდა ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის.

თავისუფალი ეკონომიკური და ამთ შორის ინდუსტრიული ზონების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვისას უამრავი სამეცნიერო ნაშრომის, სტატიების მოძიება და ანალიზია შესაძლებელი. ნაშრომების უმეტესობა თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს განიხილავს როგორც წარმატებულ პროექტს, რომელიც შეიძლება იყოს დანერგილი და გამოყენებული ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის სტიმულირებისთვის. ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ თავსისუფალი ინდუსტრიული ზონა უნდა იყოს დამოუკიდებელი სუბიექტი, თუმცა არის მოსაზრებებიც, რომ თიზ-ების ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩარევა და რომ მისი როლი მეტად მნიშვნელოვანია. ფაქტია, რომ არცერთი გამოთქმული ვარაუდი არ არის აზრს და რეალობას მოკლებული, რადგანაც ყოველი მათგანი შესრულებულია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა სამეცნიერო ჯგუფების მიერ, შესაბამისად ისინი მსჯელობენ არსებული რეალობიდან გამომდინარე.

გამოთქმული ვარაუდებიდან არის მოსაზრება - სახელმწიფოს ჩარევა თეზ-ების ფუნქციონირებისას ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას, და რომ ის შეიძლება გახდეს კორუფციის წამახალისებელი ფაქტორი და ა.შ. მაგრამ ფაქტი არის ის, რომ თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა შეუძლებელია იფუნქციონიროს სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად. თეზ-ები არის კონკრენტულ სახელმწიფოში მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ერთ-ერთი საშუალება, რომელმაც თავისი როლი უნდა ითამაშოს ქვეყნის აღმშენებლობისთვის, მიუხედავად იმისა, ეს როლი მცირე მაშტაბის იქნება თუ არა.

თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს სახელმწიფო არ ქმნის კონკრეტული ბიზნესჯგუფების დამატებით შემოსავლად, რომ მათ ნაკლები გადასახადის გადახდით მიიღონ უფრო მეტი შემოსავალი, არამედ ისინი იქმნებიან იმისათვის, რომ ქვეყნის საექსპორტო და საწარმოო პოტენციალი იქნას წარმოჩინებული საერთაშორისო ასპარეზზე, ამიტომაც არის ქვეყნის მხრიდან შეთავაზებული მოქნილი საგადასახადო პაკეტები თიზ-ების ფუნქციონირებისათვის, შესაბამისად ყველას აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ის თავისი საქმიანობის ეფექტიანად წარმოჩინებისთვის. არსებობს სამი ფორმა თავისუფალი ეკონომიკური ზონების, როგორიცაა მაგალითად: სახელმწიფო-ადმინისტრაციული, კორპორაციული და შერეული.

ვფიქრობ, რომ იდეალური ვარიანტი თეზ-ების ფუნქციონირებისთვის არის სამივე ტიპის ზონების არსებობა ქვეყანაში, და შესაბამისად იქნება საშუალება, გაანალიზდეს კონკრეტული ქვეყნის, რომელი კონკრეტული მმართველობის ფორმა

იქნება იდეალური ვარიანტი მათი ეფექტიანი ფუნქიონირებისთვის და მთავარი მიზნის შესრულებისთვის, რომელიც საბოლოო ჯამში მოსახლეობის კეთილდღეობაზე უნდა აისახოს.

როგორც აღვნიშნეთ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, რესურსებით, საგადასახადო პაკეტებით და ამ ეტაპზე არსებული როგორც თიზ-ებში, ასევე თიზ-ის გარეთ არსებული ინფრასტრუქტურით, გამორჩეული ქვეყანაა და გამოირჩევა დიდი საინვესტიციო შესაძლებლობებით. გარდა ამისა, საქართველო გამოირჩევა თავისი სტაბილური გარემოთი და ლოიალური საკანონმდებლო პოლიტიკით ეკონომიკის განვითარების დარგებისთვის და კიდევ უფრო ლოიალური პოლიტიკა გააჩნია თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიებისთვის.

მიზეზი, თუ რატომ არის მსგავსი ლოიალური და მოქნილი საგადასახადო პაკეტები შეთავაზებული როგორც ადგილობრივი, ასევე, უცხოელ ინვესტორთათვის, არის ის, რომ ქვეყანა ცდილობს გაზარდოს თავისი საექსპორტო და საწარმოო პოტენციალი, შესაბამისად თიზ-ები წარმოდგენილია როგორც, ორი დაინტერესებული მხარის შეხვედრის ადგილი ერთის მხვრივ წარმოდგენილია ინვესტორი და მეორეს მხრივ კი სახელმწიფო.

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს საერთაშორისო ტვირთების გატარებისა და გადამუშავების შესაძლებლობას, რაც აუცილებლად ეფექტიანი იქნება ვაჭრობის, წარმოების განვითარების, ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და უცხური ინვესტირების მოსაზიდად.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარება არის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური საშუალება. ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმაში მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმილი და განცხორციელებული იქნას საქართველოში წარმოება და შემდეგ ექსპორტი საერთაშორისო ბაზარზე. სრულად და მაშტაბურად უნდა იყოს ათვისებული საქართველოს გეოეკონომიკური პოტენციალი, სადაც თავის წვლილს შეიტანს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები.

მთლიანობაში თუ შევაჯამებთ საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს და საფრთხეებს (SWOT-ანალიზი, დანართი 7), შეიძლება გამოვკვეთოთ:

ძლიერი მხარეები:

1. გეოგრაფიული მდებარეობა;
2. გამარტივებული ლიცენზიები;
3. საგადასახადო შეღავათები;
4. ადგილობრივი თვითმმართველობისგან დამოუკიდებლობა;
5. გადახდა ნებისმიერი ვალუტით;
6. რეგიონული განვითარება.

სუსტი მხარეები:

1. საკანონმდებლო ხარვეზები;
2. ნაკლები გამოცდილება;
3. საქართველოდან თიზ-ში იმპორტ/ექსპორტის 4%-იანი გადასახადი.

შესაძლებლობები:

1. ხალხის დასაქმება;
2. ეკონომიკის განვითარება;
3. საექსპორტო საქონლის რაოდენობის ზრდა;
4. ახალი ტექნნოლოგიებისა და მეთოდების შემუშავება;
5. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
6. ბიუჯეტის ზრდა.

საფრთხეები:

1.მაღალი კონკურენცია;
2. გეოპოლიტიკური მდგომარეობა;
3. პანდემია;
4. ინვესტიციური შიმშილი ქვეყნის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე;
5. დაბინძურების რისკი.

მიმდინარე გლობალური პროცესების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი გეორგრაფიული მდებარეობა განსაზღვრულია როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურის თანხვედრის ადგილი.

ზემოთ მოყვანილ ქვეყნებთან მიმართებით ჩვენს გვაქვს ბევრად გამარტივებული პროცედურები, ასევე, ბევრად უკეთესი შეღავათები სახელმწიფო გადასახადების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობ, არსებული კანომდებლობა თიზ-ებთან მიმართებაში არ არის სრულყოფილი, სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, ბევრად გააუმჯობესოს და კონკურენტული გახადოს საქართველოში მსგავსი ეკონომიკური აქტივობები.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები უნდა იყოს ინტეგრირებული რეგიონის ლოჯისტიკურ და ინდუსტრიულ სისტემაში, რაც შექმნის ეფექტს წარმატების მისაღწევად.

კანონმდებლობის დახვეწით, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების მოქმედი გადასახადების დაკორექტირების შედეგად, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში ინფრასტრუქტურის განვითარებით ბევრად უკეთესი მდგომარეობა გვექნება სხვა ბევრად განვითარებული ქვეყნების თიზ-ებთან მიმართებით. ასევე, საჭიროა აქტიური კამპანია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორის მოსაზიდად. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი თვითმიზანი არის განვავითაროთ ჩვენივე ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა ნებისმიერი საშუალებით - ეს იქნება

თავისუფალი ეკონომიკური ზონა, მისი სახესხვაობა თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, თუ რაიმე სახეობის სავაჭრო-ეკონომიკური ზონა.

ინვესტორთა საჭიროებებისა და პრეფერენციების განსაზღვრა და გათვალისწინება ფუნდამენტურ როლს თამაშობს ინდუსტრიული ზონების განვითარების სქემაში, დაინტერესებული მხარეების ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელს უწყობს შესაბამისი გარემოს შექმნას, რომელიც აკმაყოფილებს მათ მოლოდინებსა და საჭიროებებს. ეს მიდგომა არა მხოლოდ აუმჯობესებს საინვესტიციო გარემოს ინვესტორთათვის, არამედ შეუძლია შექმნას ეფექტიანი და წარმატებული სამეწარმეო გარემო თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში.

ამ ეტაპზე ნათლად ჩანს, რომ თავისუფალი ეკონომიკური და თავისუფალი ინდუსტრიული ზონები საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი განუყოფელი და შემადგენელი ნაწილია.

თიზ-ები ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას და განვითარების პერსპექტივას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში დაახლოებით 5000-ზე მეტი ეკონომიკური ზონა არსებობს და შესაბამისად კონკურენციაც ძალიან მაღალია. ამ მხრივ, ვფიქრობ, რომ საქართველოს გააჩნია ძალიან დიდი პერსპექტივა დღეის მდგომარეობით, რაც გამოიხატება სხვადასხვა ურთიერთშემავ-სებელი ფაქტორებით, როგორიცაა: შეთავაზებული საგადასახადო პრეფერენციები, პორტები, აეროპორტები, საქართველოს რკინიგზა და საავტომობილო მაგისტრალი; ასევე, ის მრავალმხრივი და საერთაშორისო ხელშეკრულებები რომლის მონაწი-ლენიც ვართ.

თავისუფალი ინდუსტირული ზონების მიზანმიმართული რეგულირების და სწორი განვითარების შედეგად სტრატეგიულ ამოცანად უნდა განისაზღვროს, რომ ვუზრუნველყოთ როგორც უცხოური ისე შიდა საინვესტიციო რესურსების მოზიდვა და თიზ-ების ეფექტიანი ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქვეყნის აღორძინებასა და განვითარებაში ყველა პოტენციალის სრულად გამოყენებას.

საქართველოს აქვს ყველანაირი შესაძლებლობა და პერსპექტივა, რომ გახდეს საინვესტიციო შესაძლებლობების მსოფლიო არენა მიუხედავად ყველა იმ პრობლემისა რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან დღემდე მოგვსდევს. შესაბამისად თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებს განვიხილავ, როგორც ეკონომიკის წინსვლის ძლიერ ფაქტორს.

გამოყენებული ლიტერატურა

ოფიციალური ინფორმაცია:

საქართველოს კანონი ,,თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“.

საქართველოს ,,საგადასახადო კოდექსი“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაცია https://www.economy.ge/uploads/files/2017/foreign_trade/2023/ftt_2023.pdf

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაცია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2021. https://www.geostat.ge/media/49165/FDI--%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-2021.pdf

სსიპ ,,აწარმოე საქართველოში“, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის 2020-2021 წლების სტრატეგია.

ხედვა 2030 ,,საქართველოს განვითარების სტრატეგია“ https://www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N600 ,,ეკონომიკური რეფორმათა მეორე ეტაპის ძირითად მიმართულებათა შესახებ“, თბ., 1997.

საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო, მე-6 გამოცემა, სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 2008.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საგადასახადო შეღავათები საზღვარგარეთის ქვეყნებში, საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტი, თბ., 2018.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული არქივი. https://iverieli.nplg.gov.ge/handle/1234/17729

სამეცნიერო ლიტერატურა:

ბარათაშვილი ე., ნასარაია ზ., ზარანდია ჟ., აბრალავა ა., ქუთათელაძე რ., გოდერძიშვილი თ., მამულაშვილი ლ., ერქომაიშვილი გ., ლაგვილავა თ. სტუ, თბ. 2022.

ლაზარაშვილი თ. საინვესტიციო გარემო და მისი თავისებურებები საქართველოში, კრებულში „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და

ინოვაციური პრობლემები“, თბ., 2017.
https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=249&title=%

პაპავა ვ. თავისუფალი ეკონომიკური ზონები და სახელმწიფო, ეკონომიკა, https://gfsis.org.ge/files/my-world/21/3.pdf

პაპაჩაშვილი ნ. თავისუფალი ეკონომიკური ზონების (თეზ) მსოფლიო პრაქტიკა და ეფექტი, ჟ. „ეკონომიკა“, #4-6, თბ., 1998.

პაპაჩაშვილი ნ. თეზ-ები, ოფშორები და საქართველო სიღარიბის გარეშე, ჟ. ბიზნესი და კანონმდებლობა, თბ., 2008, #9. https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/651

ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 2015.

Annual Report on the Development of China's Special Economic Zones; edited by Yitao Tao & Yiming Yuan, Social Sciences Academic Press, 2022.

Amado J. D., Free Industrial Zones: Law and Industrial Development in the New International Divison of Labor, University of Pennsylvania Carey Iaw School, 2014. https://archive.law.upenn.edu/journals/jil/articles/volume11/issue1/Amado11U.Pa.J.Int%27lBus.L.81%281989%29.pdf

Baltasheva Z. A., Karajanova R. J., Embergenova A.A., Khojanova. G. (2022). Problems in the Development of Small Industrial Zones and Ways to Solve Them. Central Asian Journal of Theoretical and Applied Science, 3(10), 208-213. Retrieved from https://cajotas.centralasianstudies.org/index.php/CAJOTAS/article/view/965

European Special Economic Zones. Research spin-off project of "The World in Europe: Global FDI flows towards Europe (ESPON FDI)". Policy Brief, ESPON 2020 Cooperation Programme, November, 2020.

European Special Economic Zones. Research spin-off project of "The World in Europe: Global FDI flows towards Europe (ESPON FDI)". Appendix. ESPON 2020 Cooperation Programme, November, 2020.

Foreign Trade Zones Act of 1934, Pub. L. No. 73-397, 48 Stat. 998 (codified as amended at 19 U.S.C. §§ 81a-81u (1982)).

OECD (2023), Best practices in investment promotion: An overview of regional state aid and special economic zones in Europe, OECD Business and Finance Policy Papers, OECD Publishing, Paris, https://doi.org/10.1787/0c8e6ca3-en.

Sosnovskikh, S. Role of the Government in the Development of Special Economic Zones and Industrial Parks in Russia (2017). The 11th International Days of Statistics and Economics, Prague, Czech Republic, 2017, Available at SSRN: https://ssrn.com/abstract=3070410

The Oxford Handbook Of Industrial Hubs And Economic Development, Oxford, 2020.

Vernon R. Storm over the Multinationals: The Real Issues (Publications Written Under the Auspices of the Center for International Affairs, Harvard University). February 5, 1977.

World Free Zones Economic Outlook, The Kiel Institute analyzes economic activity in Free Zones, Kiel Institute for the World Economy, 2022. https://www.ifw-kiel.de/institute/research-centers/business-cycles-and-growth/world-free-zones-economic-outlook/

World Bank Group Special Economic Zones. An Operational Review of their Impacts. WB, 2017.

Zeng D. The Past, Present, and Future of Special Economic Zones and Their Impact. Journal of International Economic Law. 2021 Apr 8:jgab014. doi: 10.1093/jiel/jgab014. PMCID: PMC8083530. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC8083530/

ინტერნეტრესურსები:

საქართველოში 2023 წლის საინვესტიციო გარემოს შეფასება, აშშ-ის საელჩო https://ge.usembassy.gov/ka/2023-investment-climate-statement-ics-ka/

https://netgazeti.ge/life/7084

https://archive.law.upenn.edu/journals/jil/articles/volume11/issue1/Amado11U.Pa.J.Int%27lBus.L.81%281989%29.pdf

https://www.fdiintelligence.com/content/rankings-and-awards/global-free-zones-of-the-year-2023-awards-industrial-champions-83069

https://coyolfz.com/free-trade-zone-regime/#free-trade-zone-regime

https://www.iasp.ws/our-members/directory/@5923/krakow-technology-park

https://www.fdiintelligence.com/content/rankings-and-awards/global-free-zones-of-the-year-2023-awards-best-zones-overall-83065

https://www.geostat.ge/media/57902/FDI---%E1%83%9E%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90---2022.pdf

საქართველოში მოქმედი და ლიკვიდირებული თავისუფალი ინდუსტრიული ზონები

საქართველოში ფუნქციონირებს **4** ინდუსტრიული ზონა, ესენია:

1. **ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ფოთის თიზ-ი)**
2. **ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა**
3. **ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა**
4. **თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა**
5. **ყულევის (ფაზის ოილი) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა - ლიკვიდირებული**

საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონები ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით:

- *საგადასახადო შეღავათები;*
- *გამარტივებული პროცედურები;*
- *გადახდების განხორციელება შეიძლება ნებისმიერ ვალუტაში;*
- *გათავისუფლებულია ლიცენზიების / ნებართვების უმრავლესობის მიღების ვალდებულებისგან;*
- *ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისგან დამოუკიდებლობა.*

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ფოთის თიზი)

მესაკუთრე წილი, წილის მმართველი

ა) სახელმწიფო ორგანო რას ალ ხაიმას საინვესტიციო ორგანო, არაბთა გაერთიანებული საემიროები - 15%

ბ) სახელმწიფო - 10%

გ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სი ი ეფ სი (ევრო-აზიური) - 75%

ფუნქციონირების დაწყების დრო : 25.11.2010წ

ფუნქციონირების ვადა : 99 წელი.

2009 წლის 14 აპრილს მთავრობის **№72** დადგენილების შესაბამისად, ქ. ფოთის ნავსადგურის ყოფილ ექსტენსიური განვითარების ზონის ტერიტორიაზე 304 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე შეიქმნა ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

2010 წლიდან ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მუშაობს სრული დატვირთვით, ეწევიან სხვადასხვა სამრეწველო და ლოგისტიკურ საქმიანობებს, აწარმოებენ მსუბუქ და მძიმე მრეწველობის ისეთ პროდუქციას, როგორიცაა ქიმიური სამუშაოები ფოლადის გადამუშავება და სხვა.

ყულევის (ფაზის ოილი) თავისუფალი ინდუსტრიული ზონა-ლიკვიდირებული

2012 წლის 18 სექტემბერს, საქართველოსა და შპს "Socar Georgia Investments"-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება - ყულევის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის (ყულევის თიზ-ი) შექმნასთან დაკავშირებულ ურთიერთვალდებულებათა შესახებ.

18.09.2012 წლის ხელშეკრულების თანახმად, თიზ-ის მოქმედების ვადა განისაზღვრა 99 წლით. ფუნქციონირების დაწყების ვადა, არაუგვიანეს 2014 წლის 1 სექტემბრისა.

ხოლო **11.08.2016 წლის შეთანხმების საფუძველზე** (ცვლილება 18.09.2012წ. ხელშ-ში) „Socar Georgia Investment"-ის **უფლებამონაცვლე გახდა შპს „ფაზის ოილი"** (ს/კ 406061559).

- **ყულევის თიზ-ის მოქმედების ვადა განისაზღვრა 5 (ხუთი) წელი.**
- **ფუნქციონირების დაწყების ვადა 2017 წლის 1 სექტემბერი.**

ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ქუთაისის თიზი)

„ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 5 ივნისის **№106** დადგენილების საფუძველზე, ქ. ქუთაისში, ყოფილი ავტოქარხნის ტერიტორიაზე, ავტომშენებლის ქ.№88-ში მდებარე 269,014.27 კვ.მ (ს/კ 03.01.01.298, საერთო ფართობი 27 ჰექტარი) მიწის ნაკვეთზე შეიქმნა ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. ფუნქციონირების ვადად განისაზღვრა 99 წელი.

ფუნქციონირების დაწყების ვადა --1.07.2009 წ

ორგანიზატორი და ადმინისტრატორი შპს „ჯორჯიან ინტერნეიშნლ ჰოლდინგი" (საინდ. კოდი 204565577)

ქუთაისის თიზი შექმნილია 100%-იანი კერძო კაპიტალით და მისი დამფუძნებლები არიან საქართველოს მოქალაქე კერძო პირები. მათი მიზანს წარმოადგენდა მეწარმეობის პრინციპებზე აგებული ინდუსტრიული ზონის ჩამოყალიბება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორთა ძალებით. ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ფუნქციონირებს კომპანია **Fress Georgia ltd,** რომლის საქმიანობის სახეა საყოფაცხოვრებო გაზისა და ელექტრო ტექნიკის გამოშვება რეალიზაცია. განხორციელებულმა ინვესტიციამ 2009 წელს შეადგინა 55 750 580 აშშ დოლარი.

თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

მესაკუთრე : „ბითფური ჰოლდინგი ბი ვი,“ (ნიდერლანდები)--100%

ორგანიზატორი/ადმინისტრატორი : შპს“ ჯორჯია ტექნოლოჯი პარკი“

ფუნქციონირების ვადა : 49 წელი

თიზ-ის ფუნქციონირების დაწყების ვადა : 30.11.2015წ

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 ოქტომბრის **№549** დადგენილებით ფუნქციონირებს თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა. 2015 წლის ნოემბრიდან, თბილისის თიზ-ის უფლებამოსილებებს ახორციელებს შპს **,,ჯორჯია ტექნოლოჯი პარკ'' რომლის** 100 %-იანი წილის მფლობელი ნიდერლანდებში რეგისტრირებული „ბითფური ჰოლდინგ ბი ვი“-ა. თბილისის თავისუფალი ზონა (TFZ), რომელიც მდებარეობს საქართველოს დედაქალაქში (მიწის ნაკვეთის მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, სამრეწველო ზონაში ყოფილი „ტარზის“ ტერიტორია, ს/კ: №72.13.33.783; №72.13.33.784; №72.13.33.769) აღმოსავლეთ საქართველოში ერთადერთი თავისუფალი საგადასახადო რეჟიმის მქონე ზონაა.

მას უკავია 17.0 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომელიც დაყოფილია 28 ინდივიდუალურ მიწის ნაკვეთად და აქვს პირდაპირი წვდომა საქართველოს უდიდეს შრომით რესურსებზე, ასევე ზონის უპირატესობას წარმოადგენს ტვირთის გადაზიდვა მთავარ ავტომაგისტრალთან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან (30 კმ) და ქალაქის ცენტრთან (17 კმ) უშუალო სიახლოვე.

მიწის ნაკვეთები, რომლის უმცირესი ერთეული 2.000 კვადრატულ მეტრს შეადგენს, შეიძლება იჯარით გაიცეს ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, 50 წლის ვადით.

უნიკალური კონფიგურაცია იძლევა რამდენიმე მიწის ნაკვეთის გაერთიანების შესაძლებლობას, გზებზე და კომუნიკაციებზე წვდომის შეზღუდვის გარეშე.

ეს ზონა განკუთვნილია კომპანიებისთვის, რომელთა საქმიანობა წარმოებს ტექნოლოგიურ, სავაჭრო მომსახურებების მიმწოდებელ, მსუბუქი მრეწველობის, ლოგისტიკის, სასაწყობო და სხვა სფეროებში.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არსებობს შეზღუდვები კომპანიების უცხოურ საკუთრების ფორმაზე, აქედან გამომდინარე თბილისის თავისუფალი ზონის საწარმო შეიძლება დაფუძნდეს ადგილობრივი და უცხოელი ფიზიკური პირების მიერ, ასევე ადგილობრივი და/ან უცხოელი იურიდიული პირების მიერ.

ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

ხელშეკრულების მხარე: შპს „GEORGIAN HUASHUN INTERNATION INDUSTIAL INVESTMENT GROUP LTD” (ს/კ 212921999)

ხელშეკრულების მოქმედების ვადა: 2020 წლამდე. (ამის შემდგომ გაფორმდება ახალი ხელშეკრულება თიზ-ის ფუნქციონირების დანარჩენი პერიოდისთვის--2045 წლამდე)

თიზ-ის ორგანიზატორი: შპს “GEORGIAN HUASHUN INTERNATION INDUSTIAL INVESTMENT GROUP LTD”

ფუნქციონირების დაწყება : 2015 წლის 1 ოქტომბრამდე

თიზ-ის მოქმედების ვადა : 30 წელი (2045 წელი)

ქ. ქუთაისის ყოფილი საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე საქართველოს მთავრობის №109 დადგენილებით 2015 წლის 10 მარტს 30 წლის ვადით შეიქმნა ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (ქუთაისის ჰუალინგის თიზ).

პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან დამაკავშირებელ მაგისტრალს თბილისსა და შავი ზღვის ქალაქებს შორის (ფოთი, ბათუმი). მისი მოსახერხებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე (სარკინიგზო, სახმელეთო, საჰაერო ტრანსპორტი და საზღვაო პორტები) ქუთაისის თიზ-ი წარმოადგენს ინდუსტრიულ, ლოგისტიკურ და სავაჭრო ცენტრი შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნებში.

ინდუსტრიულ ზონაში უკვე ოპერირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ხუთი გადამამუშავებელი საწარმო, ესენია: ხის, სამშენებლო ქვის, ავეჯის, ლითონკონსტრუქციებისა და მატრასების საწარმოები.

- შექმნის დრო: 2015 წლის 10 მარტი
- ფუნქციონირების ვადა : 30 წელი
- ფართობი: 36 ჰექტარი

საქართველო

Georgia

შეერთების სიგელი

INSTRUMENT OF ACCESSION

„საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“
საერთაშორისო კონვენცია
კიოტო, 1973 წლის 18 მაისი

INTERNATIONAL CONVENTION ON THE SIMPLIFICATION AND
HARMONIZATION OF CUSTOMS PROCEDURES
KYOTO, 18 MAY 1973

2018

მიერთების სიგელი

„საბაჟო მოაცლაურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია

კიოტო, 1973 წლის 18 მაისი

კონვენციის, 1973 წლის 18 მაისს, კიოტოში, იაპონია, მიღებულ იქნა „საბაჟო მოაცლაურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენცია;

კონვენციის, 1999 წლის 26 იუნისს, ბრიუსელში, ბელგიის სამეფო, მიღებულ იქნა „საბაჟო მოაცლაურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის ცვლილების ოქმი;

იმის მხედველობაში მიღებით, რომ შესწორებული კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს შეერთების სამუშაოს, ეკონომიკური ერთის ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული საგენტოს ნებისმიერი წევრისთვის;

ასევე იმის კეთილისმენელი, რომ 2018 წლის 20 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „საბაჟო მოაცლაურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციასთან შეერთების თაობაზე;

საქართველო აცხადებს, რომ ალეს ეკისრებოდეს კეთილსინდისიერად შესრულოს კონვენციის დებულებები.

აღნიშნულის დასტურად, მე, მამუკა ბახტაძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხელს ვაწერ წარმოდგენილ შეერთების სიგელს და ვამაგრებ ამ ოფიციალურ ბეჭედი.

თბილისი, 2018 წლის 25 ოქტომბერი

დადასტურებულია
დავით ზალკალიანი
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

Unofficial translation

INSTRUMENT OF ACCESSION

INTERNATIONAL CONVENTION ON THE SIMPLIFICATION AND HARMONIZATION OF CUSTOMS PROCEDURES

KYOTO, 18 MAY 1973

WHEREAS, the International Convention on the Simplification and Harmonization of Customs Procedures was adopted on 18 May 1973, in Kyoto, Japan;

WHEREAS, the Protocol of Amendment to the International Convention on the Simplification and Harmonization of Customs Procedures was adopted on 26 June 1999, in Brussels, the Kingdom of Belgium;

BEARING IN MIND, that according to Sub-paragraph „c" of Paragraph 1 of Article 8 of the amended Convention any member of the Council and any Member of the United Nations or its specialized agencies may become a Contracting Party to this Convention by acceding to it;

WHEREAS, on 20 July 2018, the Parliament of Georgia adopted Resolution on the Accession to the International Convention on the Simplification and Harmonization of Customs Procedures;

NOW THEREFORE, Georgia undertakes faithfully to perform and carry out the stipulations therein contained.

In WITNESS WHEREOF, I, Mamuka BAKHTADZE, the Prime-Minister of Georgia, have signed this Instrument of Accession and affixed my official seal.

DONE at Tbilisi, 25 October 2018

[signed and sealed]

Confirmed
David ZALKALIANI
Minister of Foreign Affairs of Georgia

ცხრილი 1. ლატვიის სპეციალური ეკონომიკური ზონები

SEZ	Latgale	Liepāja	Rēzekne	Riga	Ventspils
Main financing of fiscal incentives	For all: State				
Area covered (ha)	Up to 72,735	4,000	1,155	1,962	2,450
Coastal	No	Yes	No	Yes	No
Corporate income tax reduction	For all: 80%				
Property tax reduction	100%	80%	100%	80%	80%
Tax rebates for labour	Yes	No	Yes	No	No
Limit to reduction	For all: The SEZ tax incentives maximum return of the investment costs up to 55% for small companies, and 45% and 35% for medium and large companies, respectively				
Real estate support*	Liepāja				
Help with staff recruitment*	Liepāja				
Staff training*	Liepāja, Rēzekne				
IT training for small and micro enterprises*	Liepāja				
Support in implementation of investment projects*	Rēzekne				

[49]

[49] European Special Economic Zones. Research spin-off project of "The World in Europe: Global FDI flows towards Europe (ESPON FDI)". Policy Brief, ESPON 2020 Cooperation Programme, November, 2020

ცხრილი 2. ლიეტუვას თავისუფალი ეკონომიკური ზონები

FEZ	Akmenė	Kaunas	Kėdainiai	Klaipėda	Marijam-polė	Panevėžys	Šiauliai
Main financing of fiscal incentives	For all state						
Area covered (ha)	99	534	131	412	78	47	133
Coastal	No	No	No	Yes	No	No	No
Corporate income tax	For all: 0% for 10 years, then 7.5% for 6 years						
Property tax reduction	For all: 0%						
Dividend tax	For all: 0%						
Expenses for R&D can be deducted three times[4]	Klaipėda						

50

[50] European Special Economic Zones. Research spin-off project of "The World in Europe: Global FDI flows towards Europe (ESPON FDI)". Policy Brief, ESPON 2020 Cooperation Programme, November, 2020

ცხრილი 3. პოლონეთის სპეციალური ეკონომიკური ზონები

SEZ	Kamienna Gorá	Katowice	Kostrzyn-Slubice	Krákow	Legnica	Łódź	Mielec	Pomeranian	Slupsk	Starachowice	Suwalki	Tarnobrzeg	Walbrzych	Warmia-Mazury
Financing of incentive	For all: state													
Coastal	No	No	Yes	No	No	No	No	Yes	Yes	No	Yes	No	No	No
Tax exemptions for investments	For all: Yes. The state aid covers up 25-50% for large companies, 35-60% for medum sized comparies and 45-70% for small companies													
Plans for preparing new investment areas.	Yes	Yes	Yes	Yes	No	Yes	Yes	Yes	Yes	Yes	Yes	Yes	Yes	Yes
Training assistance*	Krákow, Łódź, Pomeranian													
Business support for SMEs*	Łódź													
Organisation of internships*	Pomeranian													

[51]

[51] European Special Economic Zones. Research spin-off project of "The World in Europe: Global FDI flows towards Europe (ESPON FDI)". Policy Brief, ESPON 2020 Cooperation Programme, November, 2020

ცხრილი 4. თავისუფალი ინდუსტრიული ზონები მსოფლიოს სხვასხვა ქვეყანაში

ქვეყანა	ზონის შექმნის ინიციატორი	ზონის მოქმედების ვადა	აკრძალვები	გადასახდელებისგან გათავისუფლება	ხელმძღვანელობა
რუსეთი	მთავრობა	20 წელი, დაუშვებელია ვადის გაგრძელება	ნედლეულის მოპოვება გარემოსთვის სახიფათ პროდუქციის წარმოება	საბაჟო მოსაკრებლები, იმპორტ-ექსპორტზე, დღგ, აქციზის გადასახადი	აღმასრულებელი ხელისუფლების ფედერალური ორგანო
			რადიოაქტიური და ბირთვული ნივთიერებები		
თურქეთი	მთავრობა	მთავრობასთან შეთანხმებით	-	საბაჟო მოსაკრებლები იმპორტ-ექსპორტზე, საშემოსავლო გადასახადები	-
მაკედონია	მთავრობა	50 წელი (ვადის გასვლის შემდეგ შეიძლება კიდევ 25 წლით გახანგრძლივება)	გარემოსთვის სახიფათო პროდუქაცია, რადიოაქტიური და ბირთვული ნივთიერებები, იარაღის წარმოება, ქიმიური, ბიოლოგიური პროდუქცია	საბაჟო მოსაკრებელი იმპორტ-ექსპორტზე საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი ფულად გადმორიცხვებზე	თავისუფალი ეკონომიკურო ზონის სათავო ოფისი (ქმნის მაკედონიის მთავრობა)
კოსტა-რიკა	საგარეო ვაჭრობის სამინსტრო	სამინისტროსთან შეთანხმებით	გარემოსთვის სახიფათო პროდუქცია	საბაჟო მოსაკრებლები იმპორტ-ექსპორტზე საშემოსავლო გადასახადი	კორპორაც ია(იქმნება მთავრობის მიერ)
გვატემალა	ეკონომიკის სამინისტრო	10 წელი ვრცელდება შეღავათები გადასახადებზე	ნავთობის და გაზის მოპოვება,თევზჭერა, ტურიზმი, ხე-ტყის , შაქრის,ყავის ბამბის, კაუჩუკის წარმოება , მსხვილფეხა საქონლის მოშენება, რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება	საბაჟო მოსაკრებელი იმპორტ-ექსპორტზე, საშემოსავლო გადასახადი, უძრავ ქონებაზე გადასახადი, დღგ,	მთლიანად ეკისრება ზონის დამაარსებელ ფირმას

პალესტინა	მინისტრთა კაბინეტი	არა უმეტეს 49 წლისა	-	საბაჟო მოსაკრებლები იმპორტ-ექსპორტზე	ინდუსტრიული საკუთრებისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საბჭო
ირანი	მინისტრთა კაბინეტი	მთავრობასთან შეთანხმებით	-	საბაჟო მოსაკრებლები იმპორტ-ექსპორტზე უვიზო რეჟიმი	თავისუფალი ზონის ადმინისტრაცია
უზბეკეთი	პარლამენტი	პარლამენტთან შეთანხმებით	ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც ზიანს აყენებს გარემოსა და ბუნებრივ რესურსებს	საბაჟო მოსაკრებლები იმპორტ-ექსპორტზე, სპეციალური სავალუტო რეჟიმი	თავისუფალი ზონის საბჭო
მონღოლეთი	პარლამნეტი (დიდი ხურალი)	პარლამენტთან შეთანხმებით	აკრძალულია ისეთი პროდუქციის შემოტანა-	საბაჟო მოსაკრებელი იმპორტ-ექსპორტზე	თავისუფალი ზონის გუბერნატორი
			და წარმოება, რომელიც იკრძალება მონღოლეთის კანონმდებლობით	დღგ	(ინიშნება პრემიერ მინისტრის მიერ)
განა	პრეზიდენტის ბრძანება	10 წელი შეღავათები გადასახადებზე	გარემოსთვის სახიფათო პროდუქცია	საბაჟო მოსაკრებელი იმპორტ-ექსპორტზე, საშემოსავლო გადასახადი	თავისუფალი ზონის საბჭო
მოზამბიკი	მთავრობა	ადგენს მთავრობა	გარემოსთვის სახიფათო პროდუქცია	საბაჟო მოსაკრებელი იმპროტ-ექსპორტზე	მთლიანად ეკისრება ზონის დამაარსებელ ფირმას

საქართველოს თავისუფალი ინდუსტრიული ზონების SWOT ანალიზი

SWOT

ძლიერი მხარეები:

1.გეოგრაფიული მდებარეობა

2.გამარტივებული ლიცენზიები
3.საგადასახადო შეღავათები

4.ადგ. თვით. დამოუკიდებლობა

5.გადახდა ნებისმიერი ვალუტით

6. რეგიონული განვითარება

სუსტი მხარეები:

1.საკანონმდებლო ხარვეზები

2.ნაკლები გამოცდილება

3.საქართველოდან თიზ-ში იმპორტ/ექსპორტის 4%-იანი გადასახადი.

შესაძლებლობები:

1. ხალხის დასაქმება

2.ეკონომიკის განვითარება

3.საექსპორტო საქონლის რაოდენობის ზრდა.

4.ახალი ტექნოლოგიებისა და მეთოდების შემუშავება.

5.უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

6.ბიუჯეტის ზრდა

საფრთხეები:

1.მაღალი კონკურენცია

2. მსოფლიო გეოპოლიტიკური მდგომარეობა

3.პანდემია

4. ინვესტიციური შიმშილი ქვეყნის სხვა დარჩენილ ტერიტორიაზე

5.დაბინძურების რისკი